პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეხუთე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
ტფ. სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მუშ.
დეპ. საბ.
ნაკის ორგანო.

რედაქცია: ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 24 მეორე სართული.
რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76 მდივნის 10—58.

მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 26 ტელეფ. 5—48.
ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 1.250.000 მან. განცხადება 15 კაპ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონცებით.

დ ღ ი უ რ ი

— ინგლისის მთავრობამ საბჭოთა რუსეთს გადასცა [illegible] პასუხი უკანასკნელი მემორანდუმის შესახებ.

— ბულგარეთის ახალი მთავრობის მდგომარეობა [illegible] და. მცირე ანტანტის ჯერ კიდევ არ გამოურკვევია [illegible] დამოკიდებულება ბულგარეთში მომხდარ გადატრიალების შესახებ.

— ბელგიის სასამართლოში იწყება ბელგიის კომუნისტების საქმის გარჩევა.

— შიმშილის ბლოკადამ საშინელ მდგომარეობაში ჩააგდო რურის მცხოვრებნი.

— ეტნას ამოხეთქა გრძელდება.

№ 141 პარასკევი 22 ივნისი, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 75,000 მან. № 141

საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს საუბნო კომიტეტებს და უჯრედებს პარასკევს, 22 ივნისს

ერთიანი პარტიულ დღეს თვითონ წამოაყენონ დღის წესრიგი.

ტფილისის კომიტეტის მდივნის მაგიერ: რ უ ბ ე ნ ი.

„კომუნისტი"-ს რედაქცია გადავიდა

ახალ ბინაზე: რუსთაველის პროსპექტი, 24, მეორე სართული (მუშათა და გლეხთა ინსპექციის ყოფილი ბინა).

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის

გუშინ ჩვენ ვწერდით სახალხო განათლების შესახებ და ავღნიშნავდით იმ ზომებს, რომელნიც უნდა იქნას მიღებული ამ ზაფხულის განმავლობაში, რათა ახალ სასწავლო წელს შევხვდეთ შესაფერისად მომზადებულნი. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვქონდა მხოლოდ ჩვეულებრივი სასკოლო განათლება.

მაგრამ ხალხის განათლების საკითხი ჩვენს პირობებში ოდნავადაც არ ამოიწურება მარტო სასკოლო საქმის კარგად დაყენებით.

შრომის სკოლებში სწავლობენ რესპუბლიკის მომავალი მოქალაქენი, ბავშვები, რომელთაც დაუდგათ ბედნიერი დრო: ისინი ამიერიდან აღარ შეიძლება დარჩნენ სკოლის კედლების გარეშე, უვიცობასა და სიბნელეში, როგორც ეს იყო მუშათა კლასის მიერ დამარხულ წარსულში, როცა ცოდნის შეძენა „რჩეულების" პრივილეგიას შეადგენდა.

აი სწორედ ამ ძველმა რეჟიმმა გვიანდერძა მემკვიდრეობად, სხვა „სიკეთეთა" შორის, ხალხის უმეცრება და სიბნელე.

ბრძოლა წარსულის ამ ნაშთთან, ხალხის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, მისი გაკულტუროსნება შეადგენს საბჭოთა ხელისუფლების, პარტიულ, პროფესიონალურ და სხვა სათანადო ორგანიზაციების უდიდეს ამოცანას.

ამ მხრივ საყურადღებოა უნდა ჩაითვალოს ამას წინედ მოსკოვში შემდგარი წერა-კითხვის უცოდინარობის მეორე სალიკვიდაციო ყრილობა. ყრილობამ, როგორც მოსკოვის „იზვესტია" სამართლიანად აღნიშნავს, მიიღო ისტორიული მნიშვნელობის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით რევოლიუციის ათი წლის თავისათვის, 1921 წლის 7 ნოემბრისათვის, საბჭოთა რესპუბლიკებში არ უნდა იყოს არც ერთი უსწავლელი, წერა-კითხვის უცოდინარი.

ღირსშესანიშნავი გადაწყვეტილებაა, რომლის განხორციელება მოითხოვს დიდ საშუალებებს, ორგანიზაციულ მუშაობას, მშრომელთა მაქსიმალურ ენერგიას და ინტელექტუალურ ძალებს.

მაგრამ ამ დადგენილების გატარებას ცხოვრებაში დაკენებით გვიკარნახებს ხალხის და რევოლიუციის სასიცოცხლო ინტერესები, და ჩვენ არ უნდა შევჩერდეთ არაფრის წინაშე, რომ დასახულ მიზანს მივაღწიოთ.

რანაირია ამ მხრივ ჩვენი წინანდელი მოღვაწეობა და როგორი პერსპექტივები იშლება წინ?

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროიდან ჩვენში ფართე მუშაობა სწარმოებს წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოდ. და შედეგებიც ასე თუ ისე დამაკმაყოფილებელია, თუ მხედველობაში მივიღებთ მრავალ დაბრკოლებებს, რომლებიც გვეღობებოდნენ ამ დარგში. მუშაობა სწარმოებდა უმთავრესად და მან კარგი ნაყოფიც გამოიღო ორგანიზაციულად დარაზმულ მშრომელ ელემენტებში.

პირველ ყოვლისა ავღნიშნავთ პროლეტარიატის ავანგარდს—კომუნისტურ პარტიას. აქ ჯერ-ჯერობით კიდევ არის დარჩენილი მცირე პროცენტი წერა-კითხვის უცოდინართ. სულ მოკლე დროში ამას ბოლო უნდა მოეღოს.

უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ახალგაზრდათა კომკავშირს. დღევანდელი ხანა სწავლების ხანაა. კომკავშირი, პარტიის მომავალი იმედი, საკმაო ხალისს და ენერგიას იჩენს ამ სფეროში. მუშაობა ამ მიმართულებით უფრო უნდა გაცხოველდეს და გაფართოვდეს.

ინტენსიური და ნაყოფიერი მუშაობა სწარმოებს პროფკავშირებში თავმოყრილ მუშათა შორის, მათი წერა-კითხვის სალიკვიდაციოდ და კულტურული განვითარებისათვის. ამ მუშაობის შედეგების შესახებ ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული იყო ზოგიერთი სტატისტიკური ცნობები, საიდანაც ჩანს, რომ საქმე წინ მიდის. კერძოდ თბილისის მასშტაბით უკვე მოხდენილია უცოდინარობის ლიკვიდაცია; გახსნილია პირველი და მეორე საფეხურის სკოლები და სხ. პროვინციაც ასე თუ ისე მისდევს დედა-ქალაქს.

ცალკე უნდა მოვიხსენიოთ წითელი ჯარი. აქ შეგროვილი ახალგაზრდობა იძენს არა მარტო სამხედრო ცოდნას. ჯარში დიდი მუშაობაა გაჩაღებული აგრეთვე ტეხნიკური და პოლიტიკური უცოდინარობის მოსასპობად.

გაცილებით სუსტადაა ეს საქმე დაყენებული სოფლის მოსახლეობასა და ქალაქებში.

გლეხობა დაქსაქსულია და შეუკავშირებელი. ქალი, კერძოდ გლეხი ასევე შეუკავშირებელია და უფრო ჩამორჩენილი ყოველ მხრივ.

მეტად არა ხელსაყრელი პირობებია გლეხურ მასსაში მუშაობისათვის. მაგრამ ჩვენ უნდა გამოვიმუშაოთ გლეხობაში კულტურული მუშაობის განსაკუთრებული, მისი ცხოვრებასთან შეფარდებული მეთოდები და ფორმები. მშრომელ გლეხებს და ქალთა მასსას უნდა მიექცეს ამ მხრივ უფრო მეტი ყურადღება, ვინემ ეს დღემდე იყო.

წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობა რევოლიუციის ათი წლის თავისთვის—ეს ლოზუნგი უნდა გვახსოვდეს მუდამ და მის განსახორციელებლად უნდა ვაწარმოოთ სისტემატიური და ენერგიული მუშაობა.

კომინტერნის აღმასკომის პლენუმი

ამხ. ბუხარინის მოხსენება ცენტრალიზმის შესახებ.

მოსკოვი. 19 ივნისი. კომინტერნის აღმასკომის პლენუმის 18 ივნისის დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ბუხარინის მოხსენება ცენტრალიზმის შესახებ. ამხ. ბუხარინმა განაცხადა: „მეორე ინტერნაციონალის მარცხი ნაწილობრივ გამოწვეული იყო მით, რომ ის არ წარმოადგენდა მებრძოლ ორგანიზაციას, რომელსაც შეეძლებოდა საერთაშორისო მასიურ გამოსვლების ხელმძღვანელობა და აგრეთვე მით, რომ ამ ინტერნაციონალში სჭარბობდა ნაციონალური მომენტი. ამიტომ შემთხვევითი მოვლენა არ იყო ის, რომ ჩვენ ჯერ კიდევ მაშინ როცა ლიუქსემბურგთან ერთად ასე ჩამოვაყალიბეთ ჩვენი თვალსაზრისი საორგანიზაციო საკითხის შესახებ: „ახალი ინტერნაციონალი უნდა წარმოადგენდეს ერთიან ორგანიზაციას, რომელშიაც ნაციონალური მომენტები სავსებით უნდა დაუმორჩილდენ საერთაშორისო მომენტებს და მით ცალკე ნაციონალურ პარტიების გადაწყვეტილებანი უნდა ექვემდებარებოდენ პროლეტარიატის საერთაშორისო ორგანიზაციის გადაწყვეტილებებს".

თუ ჩვენ თვალს გადავავლებთ მესამე ინტერნაციონალის წარმოშობის ისტორიას, დავინახავთ, რომ ეს იდეია თანდათანობით ვითარდება და ჰპოულობს უფრო და უფრო მეტ პრაქტიკულ განხორციელებას.

ბოლლი, რომელიც ეხლა ერთ-ერთი იდეოლოგია ნორვეგიის პარტიის უმრავლესობის, მაშინ სწერდა: „ან იარსებებს მესამე ინტერნაციონალი და მაშინ ის იქნება მსოფლიო რევოლიუციის ცენტრალური გენერალური შტაბი. ან ის ვერ იარსებებს საზოგადოდ".

ამ რიგად, მუშათა კლასის შეტევის ეპოქაში, ნორვეგიის პარტიის ეხლანდელი უმრავლესობის წარმომადგენელი აღიარებდა ჩვენი საერთაშორისო ორგანიზაციის ცენტრალიზაციის აუცილებლობას. ეხლა, როდესაც მუშათა კლასი აწარმოებს თავდაცვით ბრძოლას, მერყევ ელემენტების სიმპატიები კომუნიზმისადმი რამოდენიმედ შეიცვალა და ისინი იწყებენ ჩვენს კრიტიკას. ამ კრიტიკის სოციოლოგიურ ბაზისს წარმოადგენენ ბურჟუაზიული იდეოლოგიის ნაშთები. ნორვეგიელი ამხანაგები უშვებენ შეცდომას, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ მათ მექანიკურად გადმოაქვთ ის მეთოდები, რომელთაც ჩვენ ვიყენებდით სოციალ-დემოკრატიის მიმართ, ჩვენს ორგანიზაციაზე. სკანდინავიის პარტიები უფრო განცალკევებულნი იყვნენ პროლეტარიატის საერთაშორისო მოძრაობისაგან, ვინემ სხვა რომელიმე პარტია. ამ გარემოებით უნდა ავხსნათ ნორვეგიელ ამხანაგების იდეოლოგია. ბოლლის მსჯელობა იმ დასკვნამდე მიდის, რომ დასავლეთის მუშებს არ გამოადგებათ ის მეთოდები, რომელთაც ჩვენ ვიყენებდით ჩამორჩენილ ბარბაროსულ რუსეთში, მაგრამ გამართულ სხდომებზე უკვე გამოირკვა ნორვეგიის და შვეციის დელეგატების სრული განცალკევება. სკანდინაველ ამხანაგების განცალკევება უნდა ავხსნათ შემდეგნაირად: რუსეთმა გადაიტანა სამი რევოლიუცია, გერმანეთმა ერთი რევოლიუცია, ავსტრიამ და მთელმა რიგმა სხვა სახელმწიფოებისამ განიცადეს ბურჟუაზიული ჩაგვრის მთელი სიმძიმე. სისხლის ღვრის და ძალადობის განცდის გზით მათ შეიძინეს პროლეტარიატის საერთაშორისო ორგანიზაციის მნიშვნელობა. ნორვეგიაში კი, რომელსაც არ განუცდია ყველაფერი ეს, წარმოიშვა ისეთი ტენდენცია, რომ საჭიროა დაპირისპირება დასავლეთ - ევროპის პროლეტარიატის და რუსეთის კავშირისადმი. როდესაც ეს შეუძლებელი გახდა წარმოიშვა მიმდინარეობა პფლალკის, რომელიც აღნიშნავდა, რომ ნორვეგიის პარტია, თუნდაც რომ კომუნისტური, არ უნდა ემყარებოდეს თავის საკუთარ ტრადიციებზე: ჩვენ, პროლეტარიატის ავანგარდი, როგორ უნდა ვუყურებდეთ არსებულ ტრადიციებს?

ჩვენ ისინი უნდა აღმოვფხვრათ სალი მეთოდებით. ნორვეგიელ ამხანაგებს, რომელთაც არასოდეს არ უნახავთ ნამდვილი ბრძოლა, უნდა ახსოვდეთ, რომ მათ მიერ შეთვისებული სინდიკალისტური იდეები საკმაოდ აღმოფხვრილია თვით საფრანგეთშიაც ცხადია, ცენტრალიზმშიაც არის თავისებური საფრთხე, მაგრამ ცენტრალიზმის საფრთხის არ უნდა ეშინოდენ იმ მხარეებს, სადაც ჯერ კიდევ საჭიროა ბრძოლა ხელისუფლებისათვის და სადაც, ყოველგვარ ბრძოლაში, აუცილებელია გენერალური შტაბი".

შემდეგ ამხ. ბუხარინი გადადის ნორვეგიელ ამხანაგების პრაქტიკულ მოთხოვნილებებზე და აღნიშნავს, რომ მათ მიერ საკითხის ასე დაყენება აუცილებლად გამოიწვევს კონფლიქტს. „ჩვენი კონფლიქტი ნორვეგიის პარტიასთან დაიწყო საფრანგეთის პარტიის საკითხში აღმასკომის პოზიციის კრიტიკიდან. მაგრამ შეეკითხეთ ეხლა რომელიმე ფრანგ ამხანაგს—სწორად იქცეოდა თუ არა მსოფლიო კონგრესი საფრანგეთის პარტიის მიმართ, იქ მდგომარეობა გაუმჯობესდა თუ გაუარესდა? ასევე ითქმის სხვა პარტიების, მაგალითად გერმანიის შესახებაც. სკანდინავიის პარტიებმა უნდა აღმოფხვრან მათი უნდობლობა კომინტერნისადმი. მას, ვისაც მიუღია მონაწილეობა კომინტერნის დაარსებაში, შეუძლია მისი დაფასება და ნდობა. ნორვეგიის პარტიამაც ამ მაგალითს უნდა მიჰბაძოს. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მოძმე ნორვეგიის პარტია გამოასწორებს თავის ნაკლს ჩვენს ძირითად დებულებებთან შეფარდებით". (ხანგრძლივი ტაში).

ამხ. შტრომის სიტყვა.

ამხ. ბუხარინის თანამომხსენებელი **შტრომი** აცხადებს, რომ ორგანიზაციულ საკითხებში შვეციის პარტიას და კომინტერნის აღმასკომს შორის არ არის უთანხმოება. „ჩვენ არ ვართ, ამბობს შტრომი, ცენტრალიზმის მოწინააღმდეგეები, მაგრამ გვსურს, რომ ის გატარდეს თანდათანობით. ჩვენ ვართ არა წვრილ-ბურჟუაზიული მეოცნებენი, არამედ ძველი მარქსისტები და გვაქვს პატივი უწოდოთ თავის თავს რუსი ამხანაგების მეგობრები. მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ზოგიერთ შემთხვევებში შეიძლება პრაქტიკულ დათმობებზე წასვლა მასებთან, რათა არ ჩამოვშორდეთ მათ".

კამათი ამხ. ბუხარინის და შტრომის მოხსენებების გამო

ვეჩერი (ჩეხო-სლოვაკია) აცხადებს, რომ ჩეხო-სლოვაკიის დელეგაცია, ემყარება რა თავისი პარტიის გამოცდილებაზე, ემხრობა კომინტერნის ცენტრალიზმს. ცენტრალიზმზე უარის თქმა იქნებოდა უარის თქმა მასიურ რევოლიუციონურ გამოსვლებზე საერთაშორისო მასშტაბით და მაშასადამე—მსოფლიო რევოლიუციაზედაც".

ფალკე (ნორვეგია) აცხადებს, რომ ქრისტიანიაში მიღებული რეზოლიუციის მე-4-ე პარაგრაფში, აღნიშნულია, რომ ადგილობრივი ხასიათის საკითხების გადაჭრა თვით პარტიის საქმეა, მაგრამ კომინტერნის ავტორიტეტი უდავოდ რჩება ყველა იმ საკითხებში, რომლებიც ადგილობრივზე უფრო ფართო ხასიათს ატარებენ ნორვეგიის პარტია ფიქრობს, რომ საჭიროა აღმოფხვრილ იქნეს სოციალ-დემოკრატიული ტრადიციები, მაგრამ ისეთი ტრადიციები, რომელნიც შექმნიან მასიურ პარტიას, დატოვებული უნდა იქნენ.

18 ივნისის საღამოს სხდომაზე გრძელდება კამათი ამხ. ბუხარინის მოხსენების შესახებ.

ევერტი (გერმანია) აცხადებს: „ჩვენ ვემხრობით შეურყეველ ცენტრალიზმს კომუნისტურ ინტერნაციონალში და მოუწოდებთ სკანდინაველ ამხანაგებს მიიღონ მონაწილეობა საერთო მუშაობაში საერთაშორისო პროლეტარიატის ნამდვილ გენერალურ შტაბის შესაქმნელად".

შულლერი (ახალგაზრდობის კომინტერნი) აღნიშნავს, რომ ნორვეგიელი ამხანაგები, რომლებიც მოითხოვენ თვითგამორკვევას და დეცენტრალიზაციას, ცდილობენ ჩაახშონ ახალგაზრდობის კავშირის პოლიტიკური თვითმოქმედება. ორატორი დაჟინებით მოითხოვს, რათა გატარებული იქნეს მე 4-ე კონგრესის დადგენილება პარტიულ ცხოვრებაში ახალგაზრდობის კომკავშირის მონაწილეობის შესახებ და ათავებს: „ჯერ-ჯერობით არსებობს კომინტერნი და ახალგაზრდობის კომკავშირი, უკანასკნელი მთელს მსოფლიოში გამოვა, როგორც მშრომელი მებრძოლი კომუნიზმისათვის".

ამტერი (შეერთებული შტატები) ეთანხმება ამხ. ბუხარინს და გაკვირვებულია მით, რომ შვეციის ცენტრალისტურად შედგენილი პარტია თავისი ინდივიდუალური წევრობით ემხრობა ანტი-ცენტრალისტურ ორგანიზაციულ პრინციპებს. მოჰყავს რა საბუთად ამერიკის პარტიის პრაქტიკა, ამტერი აცხადებს, რომ უკანასკნელი სავსებით ემხრობა ცენტრალიზმს.

ლეფი (საფრანგეთი) ანალოგიას პოულობს ნორვეგიელ ამხანაგების ეხლანდელ გამოსვლებსა და საფრანგეთის პარტიაში მომხდარ ამბებს შორის, როცა ყალბმა ოპოზიციამ დასტოვა პარტიის რიგები. ნორვეგიელებს საბუთად მოჰყავთ პარტიიდან ფრანგების გასვლა, ხოლო უკანასკნელებს კი საბუთად მოყავთ ნორვეგიელები. ცხადია, რომ ნორვეგიელი ამხანაგების მოქმედებას ზიანი მოაქვს მთელი ინტერნაციონალისათვის. ამ შეგნებამ უნდა აიძულოს სკანდინავიელი ამხანაგები დაემორჩილონ კომინტერნის დირექტივებს.

შეფლო (ნორვეგია) პარტიის უმცირესობის სახელით იმედს გამოსთქვამს თავისი ფრაქციის გამარჯვებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრება პარტიიდან გასვლით.

კუუსინენი. (ფინეთი) უკეთებს რაანალიზს ტრემმელის გამოსვლას, აღნიშნავს, რომ მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი ნორვეგიის პარტიის წევრებიდან ეწევა აქტიურ ბრძოლას. მხოლოდ წევრთა ამ მთელი მასების ჩაბმა მუშაობაში იქნება გარანტია ოპორტიუნიზმის წინააღმდეგ. კუუსინენი მოუწოდებს შეფლის და ტრემმელს შეთანხმებისაკენ, ის ამბობს: „ჩვენ შევქმენით ერთად ძლიერ კომუნისტურ პარტიას, რომელიც მიიყვანს მუშათა კლასს გამარჯვებისაკენ".

ხარლიუნდი (შვეცია) ეკამათება ამხ. ბუხარინს იმის მტკიცებაზე, რომ შვეციის პარტია იზიარებს მშვიდობიანი განვითარების თვალსაზრისს და რბილად ილაშქრებს „გადამეტებული ცენტრალიზაციის" წინააღმდეგ.

ინცინდენტი აცილებულია

„იზვესტია"-ს წერილი

მოსკოვი. 21 ივნისი. ამხ. სტეკლოვი, რუსეთ-ინგლისის კონფლიქტის შესახებ, „იზვესტიაში" სწერს: „ინცინდენტი, რომელიც ლორდ კერზონის ნოტამ გამოიწვია ორივე სახელმწიფოებს შორის, აცილებულად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ აი საკითხი—დიდი ხნით არის აცილებული ახალი კონფლიქტის ნამდვილი საშიშროება? არ უნდა დავივიწყოთ, რომ ის ძალები, რომელნიც კერზონის ზურგის უკან სდგანან, განსაზღვრული აზრით ხელშეუხებელი დარჩენ და მათ არ დაუტოვებიათ თავიანთი პრეტენზიები: ეს არის ყოფილ მესაკუთრეთა ჯგუფი, ისინი ბრიტანეთის საზოგადოების უკიდურესი რეაქციონური ჯგუფები, რომელთაც ეჯავრებათ საბჭოთა ხელისუფლება, რადგან ის არის ნამდვილი ხალხური და დემოკრატიული ხელისუფლება. ეს ძალები გააგრძელებენ თავიანთ ფარულ, არალეგალურ მუშაობას და მოინდომებენ თავის პროგრამის განხორციელებას თავიანთ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებამდე. მაგრამ ცუდი მშვიდობიანობა სჯობია კეთილ კონკლაობას და ყოველმა მათგანმა, ვისაც შეგნებულად სურს ახალი ომის თავიდან აცილება, მთელი თავისი ღონისძიებანი იქითკენ უნდა მიმართოს, რომ შეინარჩუნოს, თუ გინდ ეს, იდეალისაგან მეტად დაშორებული, მშვიდობიანობის მდგომარეობა. (ბოლო არ არის მიღებული).

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასკომის მეოთხე სესია

20 ივნისის საღამოს სხდომა.

წინადღით არჩეული იურიდიული კომისიის სხდომა შესდგა დილით; საღამოს კი გაიხსნა სესიის საერთო სხდომა.

კამათი ამხ. ვ. სტურუას მოხსენების გარშემო.

მიწადმოქმედების კომისრის ვ. სტურუას მიერ გაკეთებულ აგრონომიული დახმარების ორგანიზაციის შესახებ საერთო ხასიათის მოხსენების გარშემო იმართება კამათი, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ ამხ. თენგიზ ჟღენტი, დ. ნასარიძე, კ. ცინცაძე და ლაფანაშვილი. უკანასკნელს სტატისტიკური ცნობები მოჰყავს მეურნეობის სხვა და სხვა დარგების წარსული და ეხლანდელი მდგომარეობის შესახებ.

მოხსენებელი ამხ. ვ. სტურუა საბოლოო სიტყვას ამბობს და მოკლეთ უპასუხებს წამოყენებულ შეკითხვებზე; რეზოლიუციის გამომუშავება თეზისების მიხედვით გადაიდვა მეორე დღისთვის.

მოხსენება იურიდიული კომისიის მუშაობის შესახებ.

იურიდიული კომისიის სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. ვარძიელი, რომელიც ამბობს რომ კომისიამ მოასწრო მხოლოდ სასამართლოს წყობილების, სისხლის სამართლის პროცესუალური კოდექსის განხილვის და მათ შესახებ საბოლოო დასკვნის გამოტანა. კომისიამ დაადგინა ავტონომიურ რესპუბლიკებში: აფხაზეთში, აჭარაში და სამხრეთ ოსეთში მოწყობილ იქნეს დამოუკიდებელი სასამართლოები, რომელთა დეტალური ფორმების გამომუშავება მიენდო ადგილობრივ ავტონომიურ რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს.

საერთო რესპუბლიკანურ ხასიათის საქმეების შესახებ გასამართლების საკითხს არკვევს ადგილობრივი ცენტრალური აღმასკომები საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტთან შეთანხმებით. სესიის საერთო სხდომამ ამ საკითხის არსებით განხილვის შემდეგ ხმის უმრავლესობით მიიღო იგი იურიდიული კომისიის რედაქციით.

კომისიის დასკვნა.

კომისიამ ზედ მეტად სცნო სამხედრო სატრანსპორტო ტრიბუნალების არსებობა. მანვე დაადგინა, რომ საარბიტრაჟო სასამართლოების დაარსება საქართველოში მიზანშეუწონელია და სრულებით ამოიღო ეს პუნქტი კანონპროექტიდან.

სტაჟის საკითხი.

რაც შეეხება სახალხო მოსამართლეთა სტაჟისათვის მოთხოვნილებებისთვის გვერდის ავლას, კომისიამ საჭიროთ სცნო კანონპროექტის მცირედი ცვლილების შეტანით იუსტიციის კომისრისთვის ამ უფლების მინიჭება ზოგიერთ შემთხვევებში.

ამხ. ცინცაძის შესწორება.

ამხ. კოტე ცინცაძეს ამ უფლების იუსტიციის კომისრისთვის მინიჭება მიზანშეუწონლად და დაუშვებლათ მიაჩნია. თუ მართლა აღმოჩნდება, რომ საკმაო კანდიდატები საზოგადოებრივ პოლიტიკური სტაჟით მოსამართლეთა თანამდებობისთვის არ მოიპოება და თუ აუცილებლად საჭიროა ვინმესთვის სტაჟისთვის გვერდის ახვევის უფლების მინიჭება, ეს უფლება ცაკის პრეზიდიუმს უნდა ეკუთვნოდეს. ხმის უმრავლესობით მიღებული იქნა ამხ. კ. ცინცაძის წინადადება.

რევიზიის უფლება უზენაეს სასამართლოს.

კომისიის უმრავლესობის აზრით უზენაესი სასამართლო ქვემდებარე დაწესებულებების რევიზიას ახდენს მხოლოდ იუსტიციის კომისრის წინადადებით. დამოუკიდებლათ რევიზიის მოხდენის უფლების მინიჭება უზენაეს სასამართლოსთვის ზედმეტია კომისიის უმრავლესობის აზრით. უმცირესობა არ ეთანხმება ამ აზრს და სესიაზე იხსნება კამათი ამ საკითხის გარშემო.

ამხ. გ. ვაშაძე ფიქრობს, რომ უმაღლეს სასამართლოს უზენაესი კანტროლის ფუნქციების მატარებელ ორგანოს უნდა ქონდეს რევიზიის უფლება, რუსეთის კოდექსიც სწორედ ასე სწყვეტს ამ საკითხს. თუ საოლქო სასამართლოს აქვს ქვემდებარე დაწესებულების რევიზიის უფლება, უზენაესი სასამართლოც აუცილებლად აღჭურვილი უნდა იქნეს ამ უფლებებით თავის ქვემდებარე დაწესებულებების მიმართ.

კომისიის უმრავლესობის აზრის დასაცავად გამოდის მთელი რიგი ორატორებისა. კენჭის ყრის შემდეგ ხმის უმრავლესობით გადის წინადადება უზენაეს სასამართლოსთვის რესპუბლიკის პროკურორისგან დამოუკიდებლად რევიზიის უფლების მინიჭება.

კრების დასასრულ ამხ. ვარძიელი კითხულობს რეზოლიუციებს განხილულ კანონპროექტების შესახებ, რომლებიც ერთხმად იქნა მიღებული.

21 ივნისის დილის სხდომა.

მიწად-მოქმედების კომისრის მოადგილე ამხ. ვახო კანდელაკი კითხულობს თეზისებს აგრონომიული დახმარების ორგანიზაციის შესახებ, რომელიც გადაეცა განსახილველად კომისიას შემდეგი შემადგენლობით: ამხ. მ. ოკუჯავა, მ. ტოროშელიძე, ა. ერქომაიშვილი, ვ. კანდელაკი და ვ. სტურუა.

საქართველოს მრეწველობის მდგომარეობა

მორიგი ამოცანა.

მრეწველობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ს. მ. უ. ს. თავმჯდომარე ამხ. ავაკოვი, რომელიც ამბობს რომ მეურნეობის და მრეწველობის საკითხები ძირითად საკითხებს წარმოადგენენ, რომლებიც არიან დასაყრდნობი ბაზა პროლეტარიატის დიქტატურისა. თუ სესიის შემდეგ შევძლებთ მიღებულ დადგენილებათა ცხოვრებაში გატარება, ეს მოგვცემს საშუალებას აღვადგინოთ, ავიყვანოთ მრეწველობა საგრძნობ სიმაღლეზე.

რას იძლევა ს. მ. უ. ს.

მოხსენებაში ჩვენ შევეხებით—ამბობს ამხ. ავაკოვი—უმთავრესად იმ მრეწველობას, რომელიც იმყოფება საქართველოს უმაღლეს სამეურნეო საბჭოს ხელში. მრეწველობის მუშათა საერთო რიცხვიდან 60 პროცენტი სახალხო მეურნეობის საბჭოს წარმოება დაწესებულებებში მუშაობენ. საქართველოს მთელი მრეწველობის პროდუქციის 70 პროც. იძლევა სახალხო მეურნეობის საბჭოს განკარგულებაში მყოფი წარმოებები.

რა მდგომარეობაში ვიყავით წინად.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღებამდე მეურნეობა და მრეწველობა მეტად ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდა; მაგ. 1917 წლიდან დათესილი სივრცის რაოდენობა თანდათან მატულობდა, კულტურულ ხასიათის მეურნეობა კი კლებულობს, რამაც გამოიწვია ძვირფასი პროდუქტების წარმოების დაცემა. ახალი ეკონომიური პოლიტიკის განმტკიცებიდან მდგომარეობა იცვლება. სათესი სივრცის რაოდენობამ მოიკლო 1922 წლიდან, ხოლო კულტურულ მცენარეთა გავრცელებამ იმატა.

თუმცა ეს ცვლილება კარგ იმედებს იძლევა, მაგრამ სასოფლო ნაწარმოების დაცემული ფასები გლეხობას ცუდ მდგომარეობაში აყენებს და საჭიროა მისთვის სახელმწიფო დახმარების მიწოდება.

რა ჰფიცლის ხელს.

მრეწველობა ნაციონალიზაციის გამოცხადებისას მეტად სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა. დღევანდელ მრეწველობის განვითარებას ხელს უშლის სავალიუტო ვაჭრობა, რკინის-გზის მაღალი ტარიფი, დიდი აქციზი და სხვა.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღებიდან ჩვენ ბევრს გამოვეკიდეთ, შეცდომა დაუშვით და ამან გამოიწვია მრეწველობის განვითარების შეფერხება.

შემდეგ ამხ. ავაკოვს მოჰყავს სტატისტიკური ცნობები ჩვენი მრეწველობის სხვა და სხვა დარგებიდან.

ქვა-ნახშირის მრეწველობა.

ქვა-ნახშირის აწოდება 1922 წ. უდრიდა 805,000 ფუთს. შემდეგ, რკინის გზის და ტრამვაის მოთხოვნილების შემცირების გამო, 1923 პირველ მეოთხედში ეს ციფრი დაეცა 200.000 ფუთამდე ამ ჟამად კი დღეში 15.000 ფუთს ქვა-ნახშირს იღებენ, ეს გამოცოცხლება, ამ წარმოების აიხსნება მით, რომ რკინისგზის და საზღვაო ტრანსპორტის მოთხოვნილება ისევ გაიზარდა.

ლითონების მრეწველობა.

1922 პირველ მეოთხედში უდრის 1411 ფუთს, მეორე მეოთხედში 1415 ფუთს, მესამე მეოთხედში 1800 ფუთს. ამ მრეწველობას ეტყობა გაზრდა.

თამბაქოს მრეწველობა.

თამბაქოს მრეწველობა ერთი უმთავრესი დარგია. უკანასკნელ დროს სამწუხაროდ ის ეცემა დიდი აქციზის შემოღების და ქაღალდის სიმცირის გამო, რომელიც დაკვეთილია საზღვარგარეთიდან.

მეტყევეობა.

მეტყევეობა 1922 წლ. პირველ მეოთხედში აღწევს 1700 ტყავის მსხვილ ერთეულს, წლის დასასრულში კი 700,000 ერთეულს. მიუხედავად ამისა ტყავეულობის სიმცირეა და მისი საზღვარგარეთიდანაც გამოწერა გვიხდება.

სპირტ-კონიაკის მრეწველობა.

სპირტ-კონიაკის მრეწველობას აქვს ჩვენში საუკეთესო მომავალი. 1922 წ. პირველ მეოთხედში გამოხდილია 41.000 გრადუსი სპირტი, 1923 წ. პირველ მეოთხედში კი 909,000 გრადუსი; ომამდე არსებულ პროდუქციის მიღწევა მრეწველობაში დღევანდელ პირობებში მეტად ძნელია მანქანების გაფუჭების, კაპიტალის უქონლობის და სხვა მიზეზების გამო. საბრუნავი კაპიტალის 25 პროც. ჩვენ დავხარჯეთ სამრეწველო წარმოების აღდგენისთვის.

სამუშაო ხელფასმა საგრძნობლად აიწია და თამბაქოს მრეწველობაში ომამდე არსებული ხელფასის 97 პროც. უდრის, ხის დამუშავების წარმოებაში 88 პროც. აღსანიშნავია, რომ მსხვილ ინდუსტრიაში ხელფასი უფრო მცირეა, მაგ. ლითონის მრეწველობაში.

სარწყავი არხები.

სარწყავი არხების საქმე გადაეცა „ჰიდროსტროის", უმაღლეს სამეურნეო საბჭოს და მშრომელი გლეხობის ინიციატივით დაწყებული საქმე მიდის. უკანასკნელი ცნობებით, არხები შეიძლება მალიარიის საშინელ ბუდეთ გადაიქცენ თუ ზომები არ იქნა მიღებული.

საბჭოთა ხელისუფლების დროს მრეწველობის კონცენტრაცია, მეურნეობის ერთიანი სისტემა არის საჭირო, სამწუხაროდ სახ. მეურნეობის საბჭოს ჩამოერთვა ბორჯომის წარმოება, მარგანეცის საქმე, მეორე სტამბა ტფილისში, აბასთუმნის სპირტის ქარხანა და სხვა. ეს საზიანოა მრეწველობისათვის.

სამეურნეო ორგანოების პირად შემადგენლობაში დღესაც 42 პროც. მუშურ შემადგენლობას უკავია, საჭიროა ამ პროცენტის კიდევ გადიდება კომუნისტ მეურნეთა მომზადებით.

ფინანსიური დახმარება მრეწველობას.

საჭიროა მრეწველობის გეგმაშეწონილი ფინანსიური დახმარების გაწევა. სამწუხაროდ ამას ადგილი არა აქვს. სახელმწიფო ბანკი დიდ პროცენტებს გვახდევინებს. დიდი აქციზები კიდევ უფრო აძნელებს მრეწველობის განვითარების საქმეს. სარკინიგზო ტრანსპორტებიც მეტად დიდია.

სიტყვის დასასრულ ამხ. ავაკოვი მოითხოვს მთელ რიგ ღონისძიებათა მიღებას მრეწველობის განვითარებისთვის ხელის შეწყობის მიზნით.

საქართველოს პროფკავშირთა მესამე ყრილობა

მეშვიდე სხდომა, 19 ივნისს

კულტურული მუშაობა

ამხ. ყურულაშვილის მოხსენება

კულტ. მუშაობის საერთო ხაზი

ამ ჟამად, როცა პროფ. კავშირებმა დაასრულეს საორგანიზაციო, სატარიფო და სხვ. მუშაობა, ისინი განსაკუთრებულ ყურადღებით უნდა მოეკიდონ თავის წევრთა განათლების საქმეს, თუ გვინდა, რომ დღევანდელ ნებაყოფლობითი წევრობის დროს უვიცობის და კლასიური ინტერესების შეუგნებლობის გამო არ დავკარგოთ კავშირის წევრები, მით უმეტეს წინა წლებთან შედარებით; დღეს ჩვენ გვაქვს ნივთიერი სალარო—კულტ.-ფონდი. ჩვენ უარი უნდა განვაცხადოთ ბევრ ისეთ საკულტურო მუშაობაზე, რომელიც უშუალოთ ჩვენ არ შეგვეხება (მაგ. სოციალური აღზრდა, საბავშვო ბაღები, პროფესიონალ.—ტეხნიკ. განათლება) ჩვენი დანიშნულებაა საკულტურო და საპოლიტიკო—საგანმანათლებლო მუშაობა, რომელსაც უმთავრესად საკლუბო მუშაობა შეიცავს. სოციალური და პროფესიონალური განათლების საქმე უკვე გადაეცა განათლების სახ. კომის., მაგრამ ჩვენ მაინც აქტიურ მონაწილეობას ვღებულობდით ამ სფეროშიაც მომავალშიაც ასე უნდა იყოს და ჩვენი დახმარებით გან. სახ. კომმა უნდა მრავლად გახსნას საფაბრიკო—საქარხნო სკოლები; ამას გარდა მუშათა ფაკულტეტებით არა მარტო ცენტრები, არამედ პროვინციებიც უნდა დავქსელოთ. ამ მხრივ უკვე წინასწარი მუშაობა სწარმოებს ხაშურსა და ჭიათურაში. ამ საქმეში უნდა ჩავითრიოთ პროვინციაც.

მუშათა შემადგენლობით უნდა შეივსოს ჩვენი ტეხნიკუმები და უნივერსიტეტები. ეს შეუძლებელია მუშათა ფაკულტეტის გარეშე, პროფკავშირებს, როგორც საშუალო, ისე უმაღლეს სასწავლებლებში უკვე ჰყავთ წარმომადგენლები, რომელნიც საკმაო გავლენით სარგებლობენ. პროფესიონალურ განათლების მოსაწყობად კომუნ. უნივერსიტეტთან უნდა დაარსდეს პროფ.-სექცია. უნდა მოვაწყოთ მოკლევადიანი კურსები კავშირის დაბალ წრეებში პროფ-მუშაკების მოსამზადებლად როგორც ცენტრში, ისე პროვინციაში.

ლიტერატურის გავრცელება.

უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს პროფესიონალურ ლიტერატურასა და პერიოდულად მუშათა პრესის სოფლად გავრცელებას. ჩვენ მიერ უკვე იბეჭდება მრავალი წიგნი, რომლის გასავრცელებლად გლეხობაში საჭიროა დიდი აგიტაცია. ეს უნდა სწარმოებდეს მუშების დახმარებით. პრესაში თვით მუშები ცხოველ მონაწილეობას უნდა ღებულობდენ, უნდა გაიბას მუშა კორესპონდენტების ქსელი მთელ პროვინციაში.

პროფესიონალური განათლება.

რაც შეეხება საპროფესიონალო განათლებას, მთავარი დასაყრდნობი ამ სფეროში არის კლუბები, რომელთა ცენტრალიზაცია აუცილებელია პროვინციაში. ხოლო დიდ საწარმოო ცენტრებში უმჯობესია საკლუბო მუშაობის დეცენტრალიზაცია. კლუბებში მეცადინეობის დროს უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მეცნიერული ხასიათის საგანმანათლებლო მუშაობას (ლექციებს ჰიგიენაზე, სანიტარიაზე, ბუნების მეტყველებაზე და სხვა) და არ უნდა გადავყვეთ წმინდა ლიტერატურულ-დრამატიულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. ყველაზე მეტად ფიზიკური კულტურა ეჭირვება მუშათა კლასს, რომლისგანაც მდგომარეობა მოითხოვს ძლიერ ფიზიკ. აგებულებას და ამ მიზნით უნდა შევქმნათ სასპორტო და საგიმნასტო წრეებს.

წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობა.

წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობის საქმე სასურველ ნიადაგზე სდგას, მაგრამ კავშირთა წევრების 14 პროცენტი მაინც უცოდინარია, ამას ბოლო უნდა მოეღოს. წერა-კითხვის შეძენასთან ერთად საჭიროა პოლიტიკური ანბანიც შეითვისონ; ამ მიზნით წერ.-კით. უცოდ. მომსპობ სკოლებთან საპოლიტიკო საგან. წრეებიც უნდა დავაარსოთ. თუ ჩვენ მასების თვითმოქმედებას დავეყრდნობით, წერა-კითხვის უცოდინარობას ერთს წელიწადში მოვსპობთ. დიდი ანგარიში უნდა გაეწიოს ჩამორჩენილ მცირე ეროვნებათა საჭიროებას დ ყველაზე მეტად იქ ვაწარმოოთ საკულტურო საგანმანათლებლო მუშაობა, რომელიც შეუთავსებულია ჩინოვნიკობასთან. ამიტომ ეს საქმე უნდა ევალებოდეს არა გარეშე დაქირავებულს, არამედ თვით კავშირის გამოცდილ და მცოდნე მუშაკთ.

საგამომცემლო მუშაობა.

საჭიროა დიდი სიფრთხილე და დაკვირვება საგამომცემლო მუშაობის დროს.

განათლების მუშაკთა კავშირმა აუცილებლად უნდა გამოსცეს ჟურნალი, დანარჩენ კავშირებისათვის ეს არ წარმოადგენს დიდ საჭიროებას. წიგნები უნდა იცემოდეს ადგილობრივ ენებზე და არა რუსულად, რადგან რუსეთის წიგნებით დიდათ მდიდარია ჩვენი ბაზარი და მათი გამოცემას ჩვენი ხელმოკლეობის დროის მიზანშეუწონელია:

ჩვენ უშვებთ საკუთარ ორგანოს „მუშას" და მონაწილეობას ვღებულობთ „Рабочая правда"-ს გამოცემაში, რომელნიც დიდ დეფიციტს იძლევიან ქაღალდისა და სხვა მასალის სიძვირის გამო, აუცილებლად საჭიროა მისი ტირაჟის აწევა არა დეფიციტის დაფარვის მიზნით, არამედ პროფესიონალურ განათლების გასავრცელებლად; განზრახულია გამოვცეთ პროფესიონალური „ორკვირეული".

შემდეგ მომხსენებელი ეხება კულტ-ფონდის გაძლიერების საკითხს და მიუთითებს მის გასაძლიერებელ საშუალებებზე, რომლის შესახებ იმართება კამათი.

კ ა მ ა თ ი

ამხ. კიკნაძეს აუცილებლად მიაჩნია პირველ საფეხურის სკოლების მრავლად დაარსება, სადაც უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს პროფ. აღმშენებლობის და მუშათა კანონმდებლობის შესწავლას. ამხ. ტანდილი მოითხოვს უმაღლეს სახელოვნო სასწავლებლების პროლეტარიზაციას

ხელის შეწყობას. ამხ. ქვაშილავა პროვინციის მასწავლებლობის დღევანდელ ახალ განათლების დაყენების საქმეში უუნაროდ აღიარებს და მოითხოვს სათანადო ყურადღების მიქცევას.

ამხ. ცერცვაძე, რომელსაც კრება დიდ ოვაციებს უმართავს, ამბობს, რომ ბრძოლით მოპოვებულ თავისუფლებას სჭირია კულტუროსნობით განმტკიცება. არის სამი არმია: საპროფესიონალო, წითელი, საგანმანათლებლო. პროფ-კავშირებს სამივედან ყავთ თავისი წარმომადგენელი, რომელთაც ბევრი გაუკეთებიათ, მაგრამ არ არის კონტაქტი მუშაობაში, რომელიც მომავალში უნდა აუცილებლად დამყარდეს. ჩვენ ყველა ერს მივანიჭეთ თავისუფლება, ახლა უნდა მივსცეთ მათ სულიერი საზრდო სამშობლო ენაზე, რომელზედაც უნდა გადაითარგმნოს ლიტერატურის კორიფეები (ტაში)

კომისიის არჩევა.

მომხსენებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ თეზისების სარეზოლიუციოდ დასამუშავებლად კომისიაში არჩეულია: ყურულაშვილი, რუხაძე, კიკნაძე, ვიდიერკო, ტერ-აკოპოვი, კობახიძე, ბაბაჯანოვი, მელიქ-ეტოვი, შავერდოვა, სულავა, სარქისოვი, ოჩიგავა.

მეორე სხდომა. 20 ივნისი.

საქართველოს მრეწველობა

ამხ. ავაკოვის მოხსენება

ჩვენი მეურნეობა.

სახელმწიფო მრეწველობის ყველა დარგებს აერთებს ს. მ. უ. ს. და ნაწილობრივად კომუნალური მეურნეობა; ამ უკანასკნელის ხელშია 100 წარმოება ხოლო ს. მ. უ. ს. განკარგულების ქვეშ კი 384 წარმოება, ხოლო 177 კერძო მფლობელთა ხელში. ყველა სამრეწველო დარგებში მუშაობს 7,015 კაცი, აქედან 5.000 ს. მ. უ. ს. წარმოებებში. პროდუქციების 75 პროც. იძლევა სახელმწიფო მრეწველობა.

სასოფლო მეურნეობა.

ჩვენი მრეწველობის საფუძველი სასოფლო მეურნეობაა, რომლის მდგომარეობა ახალ ეკ. პოლიტიკამდე მეტად ჩამოქვეითებული იყო. სათესი მიწების რაოდენობა გაიზარდა ძვირფას კულტურის ყანების ხარჯზე (მაგალ. შემცირდა თამბაქოს პლანტაციები, ბამბის, ვენახების და სხვ.). გლეხობამ გასწყვიტა ფულის ღირებულების დაცემის გამო ქალაქთან კავშირი და ნატურალურ მეურნეობას დაუბრუნდა. ახალ ეკ. პოლიტიკით სოფლად მდგომარეობა გამოსწორდა, სათესი ყანების რაოდენობა შემცირდა 3.000 დესეტ. და წინ წაიწია უმაღლესი კულტურის მცენარეთა მოვლა-მოშენებამ. ჩვენი მიზანია დღეს დავამყაროთ წონასწორობა სასოფლო მეურნეობის პროდუქციების ძალზე დაცემულ ფასსა და მრეწველობის ფასაწეულ პროდუქტებს შორის. მხოლოდ ამ გზით შეიძლება სოფლის ქალაქთან შეკავშირება.

როგორი მანქანები ჩავიბარეთ.

ჩვენ ჩავიბარეთ დანგრეული და ნახევრად მოშლილი სამრეწველო მანქანები, რომელთა შეკეთება ჩვენ მოგვიხდა, შემდეგ ჩვენ გვიხდებოდა პირველ ხანებში სახელმწიფო დაწესებულებათა უსასყიდლოდ დაკმაყოფილება, ასე რომ, როცა სამეურნეო ხარჯზე გადავედით, საბრუნავი თანხა არ გაგვაჩნდა.

სახელმწიფოდან მოვითხოვეთ მრეწველობის აღსადგენად სესხი 2 მილიონი ოქრო, მაგრამ მივიღეთ მხოლოდ 100 ათასი ოქრო ისიც დიდი პროცენტიან სესხად. ჩამოთვლილ და კიდევ სხვა მრავალ მიზეზების გამო ჩვენ მიერ დამზადებული საქონელი მეტად ძვირად ფასობდა. მრეწველობის ნაყოფიერებას ხელს უშლიდა ტრანსპორტის მოუწყობლობა, ფულზობა სოფელან და ვალიუტის მერყევი მდგომარეობა. როგორია ჩვენი მოპოვებითი მრეწველობა, 1922 წელს პირველ მეოთხედში ტყიბულის მაღაროებში ქვანახშირის ამოღება უდრიდა 805.000 ფ. მეორე მეოთხედში 414.000 ფ. მესამეში 277.000 ფ. მეოთხედში 660.000 ფ. 23 წლის პირველ მეოთხედში 540 000. ასეთი რყევა აიხსნება, მით რომ ჩვენი ნახშირის მომხმარებელი არის რ. | გზა და ტრამვაი, რომელნიც გადავიდენ თხელ სათბობ მასალის ხმარებაზე და ამის გამო ნახშირის მოპოვება შემცირდა. ივნისიდან უმაღლეს ორგანოთა განკარგულებით რ. | გზა მაგარ საწვავს უბრუნდება და იმედია ქვანახშირის მოპოვებაც გამოსწორდება.

ლითონის წარმოება.

ჩათახის ამუშავებამდე, ჩვენ გვქონდა მხოლოდ სარემონტო ლითონის სახელოსნოები, რომელნიც შემოხვევით შენაკვეთებს ღებულობდენ; ამჟამად იწყობა მრეწველობის ეს დარგიც. ლითონის ჩამომსხმელ მუშებთა 22 წ. 1 მეოთხედში იძლეოდა—1,400 ფ. მეორეში—1,30[illegible], ხოლო 23 წლის პირველ მეოთხედში—2,704. ფ.

მანქანების დამზადება 1922 წლის 1 მეოთხედში უდრიდა 234 სასოფლო იარაღს, მეორე მეოთხედში 132 იარაღს, ხოლო 23 წლის 1 მეოთხედში 255 სასოფლო სამეურნეო მანქანას. ახლო მომავალში იწყება სატურბინო წარმოება დიდი მასშტაბით, რადგან ტურბინების დიდი მოთხოვნილებაა. მეტრიულ სისტემაზე გადასვლის გამო ჩვენი წარმოებანი უკვე ამზადებენ მეტრიულ ზომებს.

თამბაქოს წარმოება.

თამბაქოს წარმოება, რომელმაც გასულ წელს დიდი კომერციული ეფექტი მოგვცა, წრეულს დიდ აქციზების გამო, მეტად შეფერხდა. მდგომარეობა გაართულა აგრეთვე ქაღალდის, კარდონის და სხვა საჭირო მასალების შემოლევამ.

საპნისა და ზეთის წარმოება.

ტერიტორიალობისა და აგრეთვე ახლო დამოკიდებულების მიხედვით ჩვენ გავაერთიანეთ საპნისა და ზეთის დასამზადებელ წარმოებათა ტრესტები, რომელმაც დიდ ნაყოფიერებას მიაღწია, 1922 წლის 1 ნახევარში დამზადდა 1821 ფუთი, ხოლო 23 წლის 1 ნახევარში 5,719. საერთოდ წარმოებების ნაყოფიერებამ 22 წელთან შედარებით 37 პროც. აიწია.

საკითხები.

ამხ. ავაკოვის მოხსენების შემდეგ უნდა წაკითხული ყოფილიყო მოხსენება კოოპერაციაზე, მაგრამ ამ საკითხზე მასალების უქონლობის გამო, მოხსენება არ შესდგა. ავაკოვის მოხსენების მიხედვით თეზისების გამომუშავება მიენდო ახალ პრეზიდიუმს. შემდეგ კრება ღებულობს მისასალმებელ დეპეშების ტექსტებს და რეზოლიუციებს.

ახალი პრეზიდიუმი

კრება ერთხმად ღებულობს კომფრაქციის მიერ წამოყენებულ პრეზიდიუმის წევრების სიას, რომელშიაც შედიან: 1) ყურულაშვილი, 2) ჯუღელი, 3) დუმბაძე, 4) რუხაძე, 5) ბახუტოვი, 6) საყვარელიძე, 7) მარქაროვი, 8) ელბაქიანი, 9) ვაშაკიძე, 10) მახაიძე, 11) გეიდენი, 12) ხუტულაშვილი, 13) სარქისოვი, 14) ატოევი, 15) ჯიჯაძე, 16) ლეჟავა, 17) სერგეევი.

პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ ამხ. ყურულაშვილი უსურვებს ახალ პრეზიდიუმს და კავშირს მეტს ენერგიას და შრომის უნარს მომავალ მუშაობისათვის მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ და სხდომა ინტერნაციონალის სიმღერით 8 საათზე წყდება.

მისასალმებელი დეპეშები

ამხ. ლენინს

სრულიად საქართველოს პროფკავშირების მესამე ყრილობა გითვლის თქვენ, ძვირფასო ვლადიმერ ილიჩ, თავის მხურვალე სალამს, გისურვებს თქვენ ჩქარა განკურნვას და დაბრუნებას სახელმწიფო მოღვაწეობის ასპარეზზე. ყრილობა სრულ იმედს გამოსთქვამს, რომ მსოფლიო მუშათა მოძრაობის ბელადი ავადმყოფობისაგან განკურნვის შემდეგ კვლავ აიღებს ხელში ბრძოლის წითელ დროშას და გამარჯვებისკენ წაიყვანს მსოფლიო პროლეტარიატს, გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ რესპუბლიკას. გაუმარჯოს მის ბელადს ამხ. ლენინს

ყრილობის პრეზიდიუმი.

მოსკოვი რუსეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს

რუსეთის პროლეტარიატის ფოლადის ცენტრს რუსეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს უგზავნის ძმურ სალამს სრულიად საქართველოს პროფკავშირთა მე-3 ყრილობა. ყრილობა გამოსთქვამს რწმენას, რომ მსოფლიო რევოლიუციის მესაჭე რუსეთის კომპარტიის ცეკა მშვიდობიანად მიიყვანს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის და მთელი მსოფლიოს პროლეტარიატს გემს კომუნიზმის ნავთსადგურამდე. გაუმარჯოს რუსეთის კომუნისტურ პარტიას!

ყრილობის პრეზიდიუმი.

მოსკოვი, სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს

სრულიად საქართველოს პროფკავშირთა მე-3 ყრილობა ძმურ სალამს უგზავნის ს. ს. რესპ. კავშირის ტერიტორიაზე პროფესიონალურ მოძრაობის ხელმძღვანელ ორგანოს. საქართველოს პროფკავშირთა ყრილობა აღნიშნავს, რომ რუსეთის პროფმოძრაობაში შემადგენელ ნაწილის სახით შესვლის მომენტიდან საქართველოს პროფ მოძრაობა განმტკიცდა და მომავალშიაც კიდევ უფრო გაიზრდება და განმტკიცდება იგი თქვენი ხელმძღვანელების ქვეშ. საქართველოს პროლეტარიატის გაერთიანებული მოქმედება რუსეთის პროლეტარიატთან არის საწინდარი ჩვენი გამარჯვებისა დასავლეთ ევროპის კაპიტალთან ბრძოლაში. გაუმარჯოს რუსეთის პროფ მოძრაობის ხელმძღვანელს—სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს.

ყრილობის პრეზიდიუმი.

მოსკოვი, პროფინტერნს

საქართველოს შეკავშირებული პროლეტარიატი შეიკრიბა რა თავის მორიგ 3-ე ყრილობაზე უგზავნის ძმურ სალამს მსოფლიო პროლეტარიატს წითელი პროფინტერნის სახით. მხოლოდ წითელი პროფინტერნის დროშის ქვეშ მსოფლიოს პროლეტარიატი შესძლებს ჩამოიგდოს კისრიდან კაპიტალის მძიმე უღელი და ყვითელი ამსტერდამის საზიზღარი სიცრუის და გამცემლობის ქსელი.

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატის ავანგარდს—წითელ პროფინტერნს. გაუმარჯოს მუშათა ერთიან ფრონტს კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ.

ყრილობის პრეზიდიუმი.

მოსკოვი, კრემლი, კომინტერნის პლენუმს

სრულიად საქართველოს პროფკავშირთა 3 ე ყრილობა უგზავნის სალამს კომინტერნის აღმასკომის პლენუმს. საქართველოს რევოლიუციონური პროფკავშირები ყოველ წუთში მზად არიან კომინტერნის პირველ დაძახებისთანავე გამოვიდენ მსოფლიო პროლეტარიატის ფოლადისებურ რიგებში კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ. საქართველოს პროლეტარიატი დარწმუნებულია, რომ შორს არ არის ის მომენტი, როდესაც კომუნიზმის აჩრდილი მთელ ევროპაში და მთელ მსოფლიოში ხორცს შეისხამს და გათავხედებული კაპიტალი შთაინთქმა უფსკრულში.

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციის კერას—მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალ! გაუმარჯოს მის სამჭედლოს კომინტერნის აღმასკომს!

ყრილობის პრეზიდიუმი.

რეზოლიუციები

რეზოლიუცია ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენების შესახებ „საერთაშორისო მდგომარეობა"-ზე

მოისმინა რა ამხ. ორახელაშვილის მოხსენება ს. ს. რ. კ. საერთაშორისო მდგომარეობის და მუშათა კლასის მდგომარეობის შესახებ ბურჟუაზიულ ქვეყნებში" ყრილობა აცხადებს, რომ მსოფლიო კაპიტალის ყოველგვარი ცდა, უკანასკნელ საბჭოთა სახელმწიფოს თავხედური, მტაცებლური პირობები, შეხვედება მტკიცე წინააღმდეგობას მთელი საბჭოთა ფედერაციის მშრომელი მასების მხრივ. ყრილობა მოუწოდებს ს. ს. ს. რ. მშრომელთ ფხიზლათ ადევნონ თვალყური ანტანტის მტაცებლების და მათი სხვადასხვა ჯურის მაჩანჩალების ბნელ მუშაობას, რომლებიც ვერ შერიგებიან მსოფლიო რევოლიუციის კერის—ს. ს. რ. კ. არსებობას, ყრილობა გამოსთქვამს თავის სრულ სოლიდარობას და მხურვალე სიმპატიებს მთელი ქვეყნის მებრძოლი პროლეტარიატისადმი და მოუწოდებს მათ კაპიტალისტური სიმაგრეებზე გადამწყვეტ შტურმისკენ, პირველ რიგში კი მუშათა კლასის მოღალატეების მეორე ინტერნაციონალის წარმომადგენლების დამხობისა და თავისი წრიდან განდევნისაკენ. ყრილობა დარწმუნებულია, რომ მხოლოდ კაპიტალის და იმპერიალიზმის ბატონობის დამხობის შემდეგ შესძლებენ მსოფლიოს ყველა მუშები იმპერიალისტური ომის, ომის შემდეგ კაპიტალის შეტევით და ყვითელი ბელადების ღალატით მიყენებული ჭრილობების განკურნვას. ყრილობა მოუწოდებს მთელი ქვეყნის მუშებს [illegible] გადმოსხმული კაპიტალის საწინააღმდეგოთ, ბურჟუაზიის ბატონობის დასამხობად და მუშურ გლეხური ხელისუფლების დასამყარებლად. გაუმარჯოს ერთიან მუშათა ფრონტს კაპიტალის წინააღმდეგ. გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას. გაუმარჯოს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს.

რეზოლიუცია ს. პ. ქ. ს პრეზიდიუმის და სარევიზიო კომისიის მოხსენების შესახებ

მოისმინა რა ამხ. ყურულაშვილის მოხსენება ს. პ. ქ. საბჭოს მოქმედების შესახებ, საქართველოს პროფკავშირების მესამე ყრილობა იწონებს მის მუშაობას, რომელსაც შედეგად მოყვა პროფკავშირების გამაგრება, საქართველოს პროფკავშირებსა და რუსეთის პროფმოძრაობას შორის მთლიანობის აღდგენა და საქართველოს მუშა-მოსამსახურეების მატერიალური მდგომარეობის საგრძნობად გაუმჯობესება. ყრილობა ავალებს ახალ პრეზიდიუმს განაგრძოს თავისი მუშაობა ამ მიმართულებით, ყოველმხრივ შეეცადოს საკავშირო ძირითადი უჯრედების გამაგრებას, განამტკიცოს შრომის ხელფასის დარგში მიღწეული შედეგები და ასწიოს ის ჩამორჩენილ ჯგუფებში, ყრილობა ახალი პრეზიდიუმის ყურადღებას აქცევს ახალგაზრდობას შორის მუშაობის გაძლიერების აუცილებლობაზე. ეს მუშაობა უნდა შეიქნეს მისი მუდმივი თვალყურის დევნების საგანი და უნდა სწარმოებდეს კომკავშირთან სრული კონტაქტით.

სარევიზიო კომისიის მოხსენების შესახებ ყრილობა უარყოფს მის წინადადებას სარევიზიო კომისიის მუდმივ მომქმედ ორგანოდ გადაქცევის შესახებ და ავალებს მომავალ სარევიზიო კომისიას აწარმოოს თავისი მუშაობა პროფესიულ სარევიზიო კომისიების შესახებ არსებული დებულების თანახმად.

საარის საკითხი

ერთა ლიგა—ვერსალის ხელშეკრულების დარაჯია.

ბერლინი. 21 ივნისი. მაკნეილმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ ინგლისი სთხოვდა ერთა ლიგის გენერალურ მდივანს ერთა ლიგის საბჭოს მომავალ სხდომის დღის წესრიგში შეეტანა საარის საკითხი იმის გამოსარკვევად, მოქმედებს თუ არა საარის ადმინისტრაცია ვერსალის ხელშეკრულების თანახმად.

ნდობით ვერ სარგებლობს.

ბერლინი. 21 ივნისი. პარიზიდან მიღებულ ცნობის თანახმად, გაზ. „ეკო დე პარი" აღიარებს, რომ არა მარტო ბრიტანეთის მეგობრები, არამედ მთელი საფრანგეთი უკმაყოფილოა საარის ადმინისტრაციით, რომელმაც დაუშვა მთელი რიგი შეცდომებისა და სრულიად ვერ სარგებლობს საარის რაიონის მცხოვრებთა ნდობით.

საკონტრიბუციო საკითხი

ინგლისის პოზიცია.

ლონდონი. 18 ივნისი. ინგლისის ოფიციალურ წრეებში აცხადებენ, რომ ინგლისი თავს შეიკავებს გამოსვლისაგან საკონტრიბუციო საკითხის შესახებ იმ დრომდი, ხანამ მიღებული არ იქნება მოკავშირეების პასუხი ინგლისის უკანასკნელ მემორანდუმზე. იტყობინებიან, რომ პუანკარემ საფრანგეთის ლონდონის ელჩის სენტ-ოლერის საშუალებით შეატყობინა ინგლისის მთავრობას, რომ პასუხი შედგენილი იქნება ინგლისისათვის მისაღებ ფორმებში.

ლოზანას კონფერენცია

უშედეგოთ.

ბერლინი. 21 ივნისი. გაზ. „დეილი ტელეგრაფის" ცნობით შესაძლებელია, რომ ლოზანის კონფერენცია დაიხუროს ამ კვირაში, ისე რომ შეთანხმებას ვერ მიაღწიოს. ინგლისის გაზეთები ემუქრებიან ოსმალეთს სტამბოლის სრული დაკარგვით, თუ ომი დაიწყო.

კონფერენცია ბირჟად გადაიქცა.

ანგორა. 21 ივნისი. გაზ. „ხაკიმპეტ მილიე" ეხება რა ლოზანის კონფერენციას, სწერს: „კონფერენცია ბირჟად გადაიქცა. მხარეები სცდილობენ მიიღონ რაიმე სარგებლობა. განსაკუთრებით მოყაითობენ ფრანგები. ჩვენ მზადა ვართ ვალი გადავიხადოთ, მაგრამ ვერ გადავიხდით ოქროთი. საფრანგეთის მოთხოვნილება საშიშია მშვიდობიანობის საქმისათვის. დღე ბალკანეთზე მომხდარი ამბები იყოს ნიშანი მშვიდობიანობისა".

ახლო აღმოსავლეთში

საფრანგეთის პროტესტი.

ბერლინი. 21 ივნისი. საფრანგეთის მთავრობამ პროტესტი განაცხადა ოსმალეთის ჯარების გადაჯგუფების გამო სირიის საზღვრებთან.

ინგლისელებმა რეკვიზიციით ჩამოართვეს ოსმალეთს ტრანსპორტი.

რომი. 21 ივნისი. რადგანაც დადის ხმები ფრაკიაში ოსმალეთის ჯარების დაგროვების შესახებ, ინგლისის ხელისუფლებამ რეკვიზიცია მოახდინა ოსმალეთის ტრანსპორტის და გადაგზავნა იგი სტამბოლში.

ბაღდადის რკინის გზა ინგლისელების ხელში.

ანგორა. 21 ივნისი. ჩამოვიდა სმირნა-აიდანის რკინის გზის დირექტორი პერკერი. ინგლისურ კამპანიის მიერ შეძენილ ბაღდადის რკინის გზის შესახებ მოსალაპარაკებლად.

რურის ოლქის ოკუპაცია

საფრანგეთის მუშტი იკუმშება.

ბერლინი. 20 ივნისი. „პტი პარიზიენის ცნობებით, კოქსის გატანა რურიდან აკრძალულია. საფრანგეთის სამხედრო ხელისუფლებამ თავის თავზე მიიღო კონტროლის გაწევა რამოდენიმე რკინის გზის ხაზ, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის მათ მიერ დაჭერილი. რეინლანდის საერთაშორისო კომისიამ ბრძანება გამოსცა, რომლის ძალითაც ექსპორტის ნებართვების მიცემისა და გატანის გადასახადები გადახდილ უნდა იქნეს სათანადო ქვეყნის ვალიუტით. საფრანგეთის ხელისუფლების მიერ გადასახლებული არიან გეროშტეინის რკინის გზის ყველა მოსამსახურეები.

რუსეთი და ამერიკა

ამერიკული კომიტეტის ბანკეტი.

მოსკოვი. 20 ივნისი. 16 ივნისს ამერიკულმა კომიტეტმა, რომელიც ახლო კვირეებში ახდენს რუსეთში თავისი მუშაობის ლიკვიდაციას, გამართა ბანკეტი. ბანკეტს დაესწრნენ ამხ—ბი კამენევი, ძერჟინსკი, ჩიჩერინი, ლიტვინოვი, რადეკი, სოკოლნიკოვი და ლანდერი.

ამერიკული კომიტეტის მეთაურმა პოლკოვნიკმა გასკელმა მადლობა გადაუხადა საბჭოთა მთავრობას ენერგიული დახმარებისათვის მუშაობის დროს და სთქვა, რომ ამერიკული კომიტეტის წარმომადგენლები ბრუნდებიან სამშობლოში მტკიცე რწმენით, რომ საბჭოთა მთავრობა არის რუსეთის ხალხის ნამდვილი მთავრობა და იღწვის მის საკეთილდღეოდ. გასკელის აზრით, არავითარი დაბრკოლება არ უნდა იყოს საბჭოთა მთავრობის ცნობისათვის უცხოეთის სახელმწიფოების მხრივ და პირველ რიგში შეერთებული შტატების მთავრობის მიერ.

ამხ. კამენევი მადლობას უცხადებს ამერიკული კომიტეტის ყველა მუშაკებს და იმედს გამოსთქვამს, რომ გასკელის მიერ გამოთქმული სურვილი განხორციელდება რუსეთისა და ამერიკის ხალხის საკეთილდღეოდ.

ამხ. ჩიჩერინი აღნიშნავს ამერიკული კომიტეტის მუშაკების ტაქტს, და საქმის ცოდნას და ესალმება ამერიკის ხალხს. ამხ. ჩიჩერინმა გამოსთქვა იმედი, რომ ამერიკული კომიტეტის მუშაობამ ურყევი საფუძველი ჩაუყარა რუსეთ-ამერიკის ურთიერთობას და ამ ორი ქვეყნის ერების ურთიერთ გაგებას. ამერიკული კომიტეტის მუშაობაში ამხ. ჩიჩერინი ხედავს ამერიკის ხალხის რუსეთის ერებთან ძმური თანამშრომლობის წინამორბედს აურაცხელი ბუნებრივი სიმდიდრეების ამოსაჩენათ და დასამუშავებლათ მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

ამერიკული გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსის" გამომცემელმა ფიკლემა აღნიშნა, რომ ამერიკის საზოგადოებრივი აზრი არ იცნობდა რუსეთის რევოლიუციის სახალხო ხასიათს. პატივისცემა, რომელსაც გრძნობენ საბჭოთა მთავრობის მიმართ ამერიკული კომიტეტის თანამშრომლები, თავდებია იმის, რომ კომიტეტის 400 თანამშრომელი, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, გაავრცელებენ იქ რუსეთ-ამერიკის დაახლოვების იდეებს.

ამხ. რადეკმა სთქვა, რომ ამერიკულმა კომიტეტმა თავისი კეთილსინდისიერი მუშაობით. მოსპო ის უნდობლობა, როგორითაც უყურებდა რუსეთის ხალხი ამერიკას და გასდო ხიდი ამერიკასა და რუსეთს შორის, რითაც დაამტკიცა, რომ ამერიკაში გარდა ტრესტებისა არის კიდევ ხალხური იდეალიზმი.

ბანკეტის დასასრულს ჩიჩერინმა და გასკელმა წარმოსთქვეს „ურა" რუსეთ—ამერიკის დაახლოვებისათვის.

ამერიკელი სენატორი რუსეთში.

კიევი. 20 ივნისი კიევში ჩამოვიდა ამერიკის ფოსტა-ტელეგრაფის სამინისტროს წარმომადგენელი სენატორი სმიტ ბრუკგარდი. საუბრის დროს ბრუკგარდმა განაცხადა, რომ ის მეტად კმაყოფილია რუსეთში და უკრაინაში მგზავრობის დროს მიღებული შთაბეჭდილებით; ამერიკაში დაბრუნებისას ის თავის მოვალეობათ ჩათვლის გააცნოს ამერიკის ხალხს თუ როგორ ენერგიას იჩენს საბჭოთა მთავრობა სახელმწიფო აღმშენებლობის საქმეში. ის დარწმუნდა რომ საბჭოთა მთავრობის ურთიერთობა გლეხობასთან სავსებით ნორმალური; ყველაფერი, რაც მან ნახა რუსეთში, არწმუნებს მას, რომ საჭირო და აუცილებელია რუსეთსა და ამერიკას შორის ნორმალური ურთიერთობის დამყარება.

ოდესა, 19 ივნისი. ამერიკელი სენატორი ბრუკგარდი ჩამოვიდა ოდესაში საუბრის დროს ბრუკგარდმა გაკვირვება გამოსთქვა იმ განვითარების გამო, რომელსაც მიაღწია უკრაინაში კოოპერაციამ. ბრუკგარდმა სთქვა, რომ რუსეთის კოოპერაცია გადამწყვეტ როლს ითამაშებს რუსეთსა და ამერიკას შორის სავაჭრო ურთიერთობის განახლების დროსო.

ეტნას ამოხეთქა

ღველფის ნაკადი.

რომი. 21 ივნისი. ლინგუალიესიდან იტყობინებიან, რომ ღველფის მთავარი ნაკადი გაიყო ორ ტოტად. ერთი მათგანი მიმდინარეობს ლინგუალიესის სადგურისაკენ, მეორე—იმ გორაკისაკენ, რომელიც შეიცვლის ღველფის შემდეგ მდინარებას.

ადამიანთა მსხვერპლი.

რომი. ამოხეთქისაგან დანგრეულ სადგურის კასტილიონში ჩაწერილია ადამიანთა მსხვერპლი.

ლინგუალიესა ფერფლის ქვეშ.

რომი. 21 ივნისი. ლინგუალიესიდან იტყობინებიან, რომ მდგომარეობა ქალაქში საშინელია. ჰაერი გაუდენთილია სულის შემხუთავ გოგირდის კვამლით ტემპერატურა არაჩვეულებრივად მაღალია. სახურავებზე ჩამოწვა ფერფლის იმდენი რაოდენობა, რომ მრავალი სახლები ინგრევიან სიმძიმისაგან. სახლების დანგრევის შესახებ იტყობინებიან მთელი რაიონიდან.

მიუხედავათ ამისა მცხოვრებთ არ უნდათ დასტოვონ თავიანთი სახლები იმ მომენტამდე. ხანამ მათ სახლებამდე არ მიაღწევს ღველფის ნაკადი. ზოგიერთ სახლებიდან, რომელთაც აშკარა დანგრევა მოელის მცხოვრებლებს შეიარაღებული ძალით ასახლებენ.

რომი. 21 ივნისი. ლინგუალიესში სრულებით არ იშოვება სურსათ-სანოვაგე. თითქმის ყველა მცხოვრებნი გადასახლებულნი არიან უშიშარ ადგილებში. დარჩენილი მცხოვრენი იკვეხებიან იმით, რომ ჯარისკაცები აძლევენ მათ თავიანთ ულუფას. ლინგუალიესში გზებზე მიმოსვლა სრულებით შეწყვეტილია გაცხელებულ ფერფლით დაფარვის გამო შეფერხებულია ეგრეთვე ავტომობილებით მიმოსვლაც. ქალაქის ქუჩებში [illegible] მკვდარი საქონელი და ფრინველები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვადასხვა ამბები

გერმანია.

რაპალოს ხელშეკრულება.

ბერლინი. 21 ივნისი. რეიხსტაგმა უკამათოთ მიიღო კანონ პროექტი რაპალოს ხელშეკრულების, ყველა საბჭოთა რესპუბლიკებზე გავრცელების შესახებ.

მუშები კუნოს მთავრობის წინააღმდეგ.

პარიზი. 21 ივნისი. ფაბრიკა-ქარხნების კონფერენციაზე, ხელფასის საკითხის განსახილველად, გერმანიის სხვა და სხვა ადგილებიდან წარმოგზავნილმა დელეგატებმა სასტიკი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს კუნოს მთავრობის პოლიტიკა.

ბელგია.

მთავრობის კრიზისი გრძელდება.

ბერლინი. 21 ივნისი. ტიზისი, რომელსაც მიენდო ახალი სამინისტროს შედგენა, ხვდება მრავალ დაბრკოლებებს, ვინაიდან შეუძლებელია კათოლიკების და ლიბერალების შერიგება. ასეთ პირობებში კაბინეტის შედგენა 10 დღით გაჭიანურდება. ამის გამო ჟასპარს, ემყარება რა ის პარლამენტის ვოტუმზე გარეშე საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის განხილვის დროს, განზრახული აქვს დაუყოვნებლივ გასცეს პასუხი ინგლისის ანკეტაზე.

ამერიკა.

ამერიკა და ევროპის საქმეები.

პარიზი. 21 ივნისი. ვაშინგტონიდან იტყობინებიან, რომ შეერთებულ შტატების სახელმწიფო ხაზინადარი მელლონი მიემგზავრება ინგლისში ბალდვინთან მოსალაპარაკებლად საფრანგეთის და საერთოთ მთელი ევროპის მდგომარეობის შესახებ.

ლიტვა.

პრეზიდენტის არჩევა.

პარიზი. 21 ივნისი. კოვნოდან იტყობინებიან, რომ ლიტვის პრეზიდენტათ ხელახლა არჩეულია სტულგინსკი.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი.

პურის სესხი.

ივანოვო-ვოზნესენსკი. 19 ივნისი. ივანოვო-ვოზნესენსკში პურის სესხის საქმე წარმატებით მიდის. მიღებული ობლიგაციები ორ დღეში დაინაწილეს.

ვოტებსკი. მიღებული პურის ობლიგაციები 2000 ფუთისა დანაწილდა.

შორეულ-აღმოსავლეთის ბანკი.

ნიკოლაევსკი. 19 ივნისი. ნიკოლაევსკში დიდის ზეიმით გაიხსნა შორეულ-აღმოსავლეთის ბანკის განყოფილება. ამ დღესასწაულობის დროს შეწირულება შეიკრიბა საჰაერო ფლოტის სასარგებლოდ. ამ ფონდით განზრახულია ერთი ჰაეროპლანის შეძენა.

სასოფლო-სამეურნეო გამოფენა.

ვლადიმირი. 19 ივნისი. ივნისის 15-ს 4,000 მუშისა და გლეხის თანადასწრებით გაიხსნა ვლადიმირის გუბერნიის პირველი სასოფლო-სამეურნეო გამოფენა კულჩუგანში.

აბრეშუმის პარკი.

ტაშკენტი. 19 ივნისი. თურქესტანის რესპუბლიკაში აბრეშუმის პარკი წრეულს 150,000 ფუთი დადგა. შარშან მხოლოდ 70,000 ფუთი მოვიდა.

სვერდლოვის სახელობის უნივერსიტეტში

დღესასწაული უნივერსიტეტის არსებობის 5 წლის აღსანიშნავად.

მოსკოვი 20 ივნისი. სვერდლოვის სახელობის კომუნისტური უნივერსიტეტის არსებობის ხუთი წლის თავის აღსანიშნავად გამართულ დღესასწაულზე სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ტროცკიმ. ამხ. ტროცკიმ სთქვა: „თუ რომელიმე იუბილე ყურადღების ღირსია და გამოიწვევს ჩვენში სიხარულის გრძნობას, ეს არის სვერდლოვის სახელობის კომუნისტური უნივერსიტეტის იუბილე. ჩვენ ვამზადებთ ჩვენი ეპოქის იმ კონკრეტიულ ადამიანს, რომელმაც უნდა იბრძოლოს მთელ მსოფლიოში ჰარმონიული ცხოვრების დასამყარებლად. ჩვენს ამოცანას შეადგენს მომზადება ისეთი მებრძოლების, რომლებიც განაგრძობენ ჯერ დაუმთავრებელ ისტორიულ პროცესს. ნამდვილი რევოლიუციონერი მებრძოლი გვეყოლება მხოლოდ მაშინ, როცა ახალგაზრდა რევოლიუციონერი კომუნისტი ისწავლის მეცნიერების შეთავსებას ცხოვრების მძიმე პრაქტიკასთან და კლასობრივ ბრძოლასთან".

შემდეგ ამხ. ტროცკი მიუთითებს, რომ რევოლიუციონერის აღზრდის პირველ პირობას შეადგენს ატეიზმი და მატერიალიზმი. იხსენებს რა სვერდლოვს, ამხ. ტროცკი ამბობს: „მარქსიზმის იარაღი მას იმდენათ კარგათ ქონდა მომარჯვებული, რომ თავისუფლათ, მტკიცედ შესძლო გავლა ოქტომბრის დღეებში. სვერდლოვის სული უნდა აღფრთოვანებდეს მისი სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტებს და უჩვენებდეს მას მათ სწორ გზას. გარდამავალ ეპოქაში ჩვენ მხოლოდ კომუნისტური პარტიისათვის ვცნობთ მშრომელთა ბედიღბალის ხელმძღვანელობის უფლებას არა მარტო ცენტრში, არამედ რესპუბლიკის განაპირა რაიონებში, სადაც ოქტომბრის რევოლიუციამ ცხოვრებისაკენ მოუწოდა მშრომელ მასებს, რომლებიც აკაკუნებენ კომუნისტურ კარებში.

სვერდლოვის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტი—ეს არის კავშირი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის.

თევას სიტყვას ამხ. ტროცკი ათავებს შემდეგი სიტყვებით:

„უნივერსიტეტის იუბილეს დღესასწაულზე ჩვენ ვწუხვართ, რომ ჩვენთან არ არის ჩვენი საპატიო თავმჯდომარე ილიჩი. მაგრამ ამ მწუხარების ურთიდება მტკიცე რწმენა, რომ ილიჩის ძლიერი სული ჩვენს შორის არის, ამიტომ ჩვენ თავისუფლათ ვსუნთქავთ და იმედით შევყურებთ ხვალინდელ დღეს. მე არ შემიძლია ჩემი მისალმება დავამთავრო ისე, რომ აღტაცებული ძმური სალამი არ გაუგზავნო ჩვენს მასწავლებელ ილიჩს".

კომინტერნის სახელით მისასალმებელ სიტყვას ამბობს ამხ. რადეკი: „რუსეთის მშრომელთ აწევთ მძიმე მოვალეობა:—გაალღვიონ და ბრძოლაში ჩააბან სხვა დაჩაგრული ერები. აღმშენებლობითი მუშაობისათვის საჭიროა ახალი თაობა, რომელიც მთელ მსოფლიოს შეასწავლის მარქსიზმის ანბანს. ეს ამოცანა დაეკისრა სვერდლოვის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტებს".

შემდეგ სიტყვებს ამბობენ—სახალხო განათლების კომისარი ლუნაჩარსკი, საპრონოვი, დომბალი და სხვები.

პროფინტერნში

ინგლისის და რუსეთის მუშების სოლიდარობა.

პროფინტერნის აღმასრულებელმა ბიურომ მიიღო დეპეშები ინგლისის მთელ რიგ მუშათა ორგანიზაციებისაგან, რომლებიც სოლიდარობას უცხადებენ რუსეთის მუშებს და აღუთქვამენ სრულ დახმარებას რუსეთ-ინგლისის ეხლანდელ კონფლიქტში.

დეპეშები მიღებულია ქალ. უაიტინჩის (შოტლანდია) მეავეჯეების ფედერაციისაგან, ქალ. პართიჩის (შოტლანდია) მეავეჯეების ფედერაციისაგან, ქალ. ბლანტირის მუშათა მოქმედების კომიტეტისაგან და შოტლანდიის საბითუმო სავაჭროების საზოგადოების მოსამსახურეებისაგან.

ანტი-ფაშისტური ორგანიზაციის დაარსება.

აპრილის დასაწყისში ნიუ-იორკის ადგილობრივ პროფკავშირების წარმომადგენელთა კონფერენციაზე საძირკველი ჩაეყარა ანტი-ფაშისტურ ორგანიზაციას.

ეს ორგანიზაცია მიზნად ისახავს ამერიკიდან ყველა ფაშისტურ კავშირების გაძევებას, აგიტაციას მასებში იტალიის ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ და დახმარებას იტალიის მუშათა ორგანიზაციებისადმი, რომლებიც დაანგრიეს ფაშისტებმა. ანალოგიური ორგანიზაციები დაარსდა აგრეთვე მექსიკასა და კანადაში და მათ შორის გაბმულია მჭიდრო კავშირი.

იტალიის შრომის პალატა—ნიუ-იორკის ყველა იტალიური კავშირების ცენტრალური გაერთიანება—განსაკუთრებულ მოწოდებაში წინადადებას აძლევს ნიუ-იორკის იტალიური კავშირების ყველა 150,000 წევრს, რათა მხარი დაუჭირონ ახალ ორგანიზაციის მუშაობას.

პარტიული ცხოვრება

პარტმუშაობა ახალციხის მაზრაში მაისში

ორგანიზაციული მუშაობა. საანგარიშო თვეში ახალციხის სამაზრო პარტკომმა რიცხვი რაიონულ ინსტრუქტორებისა აიყვანა რვამდე, ასე რომ ეხლა ადმინისტრატიული დაყოფა თითქმის შეესაბამება პარტიულს (9:8).

სამაზრო პარტკონფერენციაზე, რომელიც მოწვეულ იყო მაისის თვეში —გამოირკვა, რომ მუშაობა უჯრედებისა მიმდინარეობს დამაკმაყოფილებლათ; რეგულიარულათ იწყობა უჯრედების ღია სხდომები, რომლებსაც ესწრებიან უპარტიონი, განსაკუთრებით ახალგაზრდობა. უჯრედების დღის წესრიგში ისმებოდა სამაზრო პარტკომის სააგიტ-საპროპაგანდო განყოფილების მიერ ნაჩვენები საკითხები.

მაისში ჩატარებულ იქნა მეორე პარტკონფერენცია, რომელსაც დაესწრენ ამხანაგები ადგილებიდან და ირჩეოდა მეტად საქმიანი, პრაქტიკული და მიმდინარე ხასიათის საკითხები; ბოლოს მოსმენილ იქნა ინსტრუქტორების მოხსენებები ადგილებზე მუშაობის შესახებ. ერთიან პარტდღეთ: მუსულმანურ რაიონებში დანიშნულია—პარასკევი, დანარჩენებში—კვირა.

სააგიტ-საპროპაგანდო მუშაობა. სააგიტ-საპროპაგანდო განყოფილე-

რადიო-ტელეგრამები

ინგლისის პასუხი რუსეთის უკანასკნელ მემორანდუმზე

მოსკოვი. 19 ივნისი. გამოქვეყნდა ინგლისის პასუხი რუსეთის უკანასკნელ მემორანდუმზე. ინგლისმა კმაყოფილებით მიიღო ცნობათ საბჭოთა მთავრობის თანხმობა ნოტებით აზრთა გამოცვლაზე ტერიტორიალური წყლების საზღვრების, გარდინგისა და დევისონის საქმის გამო კომპენსაციის და აგრეთვე ინგლისის მიმართ მტრული მოქმედების ან პროპაგანდის შეწყვეტის შესახებ. ინგლისის მთავრობა თავის მხრივ თანხმაა პროპაგანდაზე და მტრულ მოქმედებაზე ხელის აღების ვალდებულების ტექსტი შეავსოს მუხლით რუსეთის ემიგრანტებისათვის საბჭოთა მთავრობის და საკავშირო რესპუბლიკების წინააღმდეგ დახმარების არ მიცემის შესახებ.

ინგლისი არ მოითხოვს სხვა ინგლისელ მოქალაქეების ზარალის ანაზღაურებას გარდა გარდინგისა და დევისონისა. ინგლისის მთავრობა დარწმუნებულია, რომ დიპლომატიურ თანამდებობის პირთა გადაყვან-გადმოყვანის ნორმალური წესით მოგვარდება რასკოლნიკოვის გაწვევის საკითხიც დაბრკოლებები, რომლებიც ელობება მის ყოფნას ქაბულში, ამ რიგად აცილებულია. შუმიაცკის შესახებ, ინგლისი დარწმუნებულია, რომ საბჭოთა მთავრობა მიიღებს ზომებს, რათა მისი მოღვაწეობა ეთანხმებოდეს შეღებულ ვალდებულებებს.

ვინაიდან საბჭოთა მთავრობამ დააკმაყოფილა ინგლისის მთავრობის ძირითადი მოთხოვნილებები, უკანასკნელ მიწერ-მოწერას დამთავრებულათ თვლის.

ამხ. ჩიჩერინის საპასუხო ნოტა

მოსკოვი. 19 ივნისი. საპასუხო ნოტაში ამხ. ჩიჩერინი კმაყოფილებას გამოსთქვამს ინგლისის თანხმობის გამო დათმობებზე და საბჭოთა მთავრობის მიერ მიცემულ განმარტებებზე, ეხება რა შინაურ საქმეებში არ ჩარევის ვალდებულების ტექსტს, რუსეთის მთავრობა მოითხოვს, რომ ინგლისმა უარი სთქვას არა მარტო რუსეთელ ემიგრანტების, არამედ ყოველგვარი მტრული მოქმედების დახმარების გაწევაზე, ვისი მხრითაც არ იყოს ის.

რასკოლნიკოვის გადაყვან გადმოყვანის წესით გაწვევის შესახებ, ამხ. ჩიჩერინი უპასუხებს, რომ ეს საკითხი, როგორც შინაური არ ყოფილა სადაო და საკამათო. რუსეთი არავითარ ვალდებულებას არ იძლევა წარმომადგენლობათა პერსონალის შესახებ და არ მოითხოვს ასეთ ვალდებულებას ინგლისისაგანაც. ამხ. ჩიჩერინი პირდება ინგლისის მთავრობას მისცეს რუსეთის წარმომადგენლებს, კერძოდ კი შუმიაცკის, ინსტრუქციები მიღწეული შეთანხმების მიხედვით იმ პირობით, რომ ინგლისიც ასეთივე ინსტრუქციებს მისცემს თავის წარმომადგენლებს.

ამ შესწორებების შემდეგ, რუსეთის მთავრობა ეთანხმება ინგლისის მემორანდუმის დასკვნას, რომ მიწერ-მოწერა ჩაითვალოს დამთავრებულათ.

რუსეთი და ინგლისი

ინგლისის მუშათა პარტიის დეკლარაცია.

ლონდონი. 18 ივნისი. ინგლისის დამოუკიდებელმა მუშათა პარტიამ გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიც ესალმება რუსეთ-ინგლისის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაჭრას. დეკლარაციაში ნათქვამია, რომ არავითარი შეთანხმება არ იქნება მტკიცე, თუ მოწვეული არ იქნა რუსეთ-ინგლისის კონფერენცია და ხანამ საბჭოთა მთავრობას არ იცნობენ.

ინგლისის პრესის აზრი.

ლონდონი. 19 ივნისი. „ობსერვერი" რუსეთ ინგლისის მოლაპარაკების შესახებ აცხადებს, რომ მოლაპარაკების მშვიდობიანათ მოგვარება, უმთავრესათ საბჭოთა მოღვაწეების დამსახურება არის, რადგან ისინი ცდილობენ შეიყვანონ რუსეთი ევროპის სახელმწიფოების ოჯახში.

„ნიუ ლიდერის" წერილი.

ლონდონი. 16 ივნისი. დამოუკიდებელი მუშათა პარტიის ორგანო „ნიუ ლიდერი" სწერს: „დამოუკიდებელი მუშათა პარტია განაგრძობს კამპანიას საბჭოთა მთავრობის ცნობის სასარგებლოდ". გაზეთი აღნიშნავს, რომ ინგლისის მთავრობას არა აქვს უფლება მოსთხოვოს ფრანგებს ჯენტლმენურად მოქცევა საერთაშორისო ურთიერთობაში, რადგან ინგლისი არა კეთილსინდისიერათ ეპყრობა რუსეთს.

გადატრიალება ბულგარეთში

საერთო მდგომარეობა.

ბერლინი. 19 ივნისი. სოფიიდან ოფიციალურად იუწყებიან, რომ ბულგარეთის ყველა პროვინციებში სიმშვიდე დამყარდა. გადატრიალებას სულ უმსხვერპლია 500—600 კაცი.

მცირე ანტანტის პოზიცია.

ბერლინი. 19 ივნისი. სამხრეთ-სლავიას საგარეო საქმეთა მინისტრამ ნინჩიჩმა საუბრის დროს განაცხადა, რომ მცირე ანტანტამ უარჰყო სოფიაში საერთო ძალით გამოსვლა, რადგანაც მცირე ანტანტაში უთანხმოება იყო. საბერძნეთი და რუმინეთი წინააღუდგნენ საერთო გამოსვლას იმ მოსაზრებით, რომ გადატრიალება ბულგარეთში ხელს შეუწყობს მონარქიული იდეების განმტკიცებასო. მხოლოდ ჩეხო სლოვაკია იყო სრულს თანხმობაში სამხრეთ-სლავიასთან.

საბერძნეთის პრემიერმა გუნარისმა დაადასტურა, რომ მცირე ანტატა არავითარ ნაბიჯებს არ გადასდგამს ბულგარეთის საქმეში, რადგანაც ბულგარეთი მტრულ განწყობილებას იჩენს მცირე ანტანტის მიმართ.

ბას მაისში უმთავრესი ყურადღება ქონდა მიქცეული მუშაობაზე ქალაქში, ვინაიდან სოფლის გლეხობა დილიდან ადრე საღამომდის მინდვრებში არიან და სხვა რამისათვის დრო არა აქვთ, ამის გამო მუშაობა სოფლებში ძალზე შესუსტდა.

პოლიტწრეების რიცხვი გაიზარდა სამით, ეხლა მათი რიცხვი უდრის 11-ტს. წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტები მაზრაში არის 12, მასში მეცადინეობს 250 კაცი. პარტიის წევრებს შორის წერა-კითხვის უცოდინარნი არ არიან, პარტწევრები მეცადინეობენ პოლიტწრეებში, რომლის გათავების შემდეგ განზრახულია მათი პირველი საფეხურის მარქსისტულ წრეებში გადაყვანა.

5 მაისის, პრესის დღეს უჯრედების წევრებმა მოაწერეს ხელი ადგილობრივ და ცენტრალურ გაზეთებზე.

საანგარიშო თვეში ჩატარებულია შემდეგი კამპანიები და დღესასწაულები: პირველი მაისი, პრესის დღე, ინვალიდების დახმარების კვირა, საპროტესტო დემონსტრაცია და საქალაქო მიტინგი კერზონის ნოტისა და ამხ. ვოროვსკის მოკვლის გამო და ქურის ბავშვთა კვირეული.

მუშაობა ქალთა შორის. ეხლა უკვე შეიძლება ითქვას, რომ მუშაობა ქალთა შორის, ახალციხის მაზრაში, როგორც ასეთი, მართლაც სწარმოებს.

შედგენილია ქალთა განყოფილების კოლლეგია შემდეგი წარმომადგენლებისაგან: აგიტპროპისა, პოლიტგანათლებისა, პროფკავშირებისა და ქალთა განყოფილებისა. ჩატარებულია ქალაქში 13 ქალთა საერთო კრება, დაესწრო 821 ქალი და 128 მამაკაცი. ჩატარებულია აგრეთვე შაბათობა ქალაქის ბაღის გასაწმენდათ, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო სულ 85 კაცმა.

ქალთა განყოფილების კოლეგიას ქონდა ორი სხდომა.

მაისის ოცში ქალთა განყოფილების კოლეგიამ დაადგინა მრეცხავთა არტელის დაარსება უმუშევარ ქალთათვის, ამ წამოწყებას აღმასკომი თანაგრძნობით შეხვდა; მან გადასდო 100 მილიონი მანეთი ამ საქმისათვის. ამ დღეებში ქალთა-განყოფილება შეუდგება ხსენებულ არტელის მოწყობას. სამაზრო პოლიტგანათლებამ გადასდო 25 მილიონი მანეთი იმავე სამრეცხაოს მოსაწყობად. ქალთა განყოფილებამ მიიღო აქტიური მონაწილეობა ომში დასახიჩრებულთა დახმარების კვირეულის ჩატარებაში.

არაა მიტოვებული უყურადღებოთ არც მაზრა: ქალთა განყოფილების ინსტრუქტორი მუშაობს ადგილებზე ქალთა ორგანიზაციების მოსაწყობათ.

ქალები ღებულობდენ მონაწილეობას პირველ მაისის დღესასწაულში. ამ დღისათვის ქალთა განყოფილებამ შესძლო შეეკრიბა თავის დროშის ქვეშ ათასამდე ქალი.

ასე ნაყოფიერად მიმდინარეობდა ქალთა განყოფილების მუშაობა მაისის თვეში.

ი. შ.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი თბილისში.
(21 ივნისი)

ჩერვონცები	—13,750 ათასი.
გირვან. სტერ. ეფექტ.	—15,000 ათ.
„ ჩეკები	—13 000
დოლარები — ეფექტ.	—3.550
„ ჩეკები	—3.200
ოსმალ. ქაღალ. ლირა ეფ.	—2.350
„ ჩეკები	—2,000
იტალიანური ლირა	— 115
ფრანკ. ფრანგული	— 175

მუშკოპის ფასები.
(21 ივნისი).

თეთრი პური—60 ათასი, 2 ხარის.—45 ათ., ყუბ თეთრი ფქვილი—100 ათ. გირვანქა, საპონი „ტოლე"—300 ათ. როსტოვის საპონი—360 ათასი, ძველი ლობიო—15—35 ათასი, კარტოფილი (ახალი)—50 ათასი, ბრინჯი —140 ათასი.

ტფილის საქონლის საფონდო ბირჟის მოქმედება.
(9—16 ივნისამდე).

9—16 ივნისამდე საფონდო-საქონლის ბირჟაში გამოცხადდა 356 კაცი. ფონდების და საქონლის ჯამი გამოიხატება შემდეგ ციფრებში: ჩერვონცებით 32,835 ანუ ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით 453,496,690 მანეთი. მყიდველები იყვნენ: სახელმწიფო ორგანოები—110, კოოპერატივები—11, საზოგადოებრივი ორგანიზაციები 13 და კერძო პირები 100; გამყიდველებათ სახელმწიფო ორგანოები 108, კოოპერატივები 11, საზოგადოებრივი ორგანიზაციები 44 და კერძო პირები—71.

ვალიუტა შეიძინეს: სახელმწიფო ორგანოებმა (ჩერვ.) 17,454 მანეთის, კოოპერატივებმა 2926 მან., საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა 1049 მ. და კერძო პირებმა 9901 მან.

გაჰყიდეს ვალიუტა: სახელმწიფო ორგანიზაციებმა (ჩერვ.) 16,474 მან. კოოპერატივებმა 721 მ, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა 8151 და კერძო პირებმა 5984.

იყიდეს საქონელი: სახელმწიფო ორგანოებმა (ჩერვ.) 778 ნახევრის, კოოპერატივებმა 0, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა 0 და კერძო პირებმა 726 ნახ.

გაჰყიდეს საქონელი: სახელმწ. ორგანოებმა 1310 და კერძო პირებმა 195.

ცენტრალურ სავაჭრო სამმართველოში.
(მოქმედების მიმოხილვა მაისის განმავლობაში).

საანგარიშო თვის განმავლობაში ცენტრალურ სავაჭრო სამმართველოს მიერ წარმოებულია ოპერაციები დაახლოვებით 1250 ჩერვონცის, ამასთანავე შეძენილი იყო უმთავრესად ქიმიური საქონელი, რკინა, სამრეწველო ნედლი მასალა, სარეცხის და პირის საპონის პარტია, სხვა და სხვა გვარი ლურსმანი, კაუსტიკური სოდა და სხვა.

ცენტრალურ სავაჭრო სამმართველოს საწყობიდან გამოშვებულია შემდეგი საქონელი: ქიმიური ნაწარმოები (საპონი, წუმწუმა). ბორჯომის შუშის ქარხნის ნაწარმოები, მანუფაქტურა და ტანთსაცმელი, ქაღალდი და სხვა საქონელი, სულ 28,500 ჩერვონცის.

საქონელს აწოდებენ უმთავრესად საქართველოს სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ტრესტები და განყოფილებანი (35,9 პროც.) და შემდეგ სახელმწიფო და კერძო დაწესებულებანი, მომხმარებლებად იყვენ უმთავრესად სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ტრესტები და განყოფილებანი და ცენტრალურ სავაჭრო სამმართველოს მაღაზიები და შემდეგ პროვინციის აღმასკომები და სხვა. ცენტრალურ სავაჭრო სამმართველოს მაღაზიებმა მიიღეს მაისის განმავლობაში დაახლოვებით 24,000 მანეთის საქონელი.

მაღაზიებიდან გაიყიდა იმავე თვის განმავლობაში დაახლოვებით 72,500 მანეთის საქონელი, აქედან ნაღდად გაიყიდა 58200 მანეთის და ნისიად 14 300 მანეთის საქონელი (კრედიტორებათ იყვენ სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭოს განყოფილებანი და ტრესტები, კოოპერაციები და სახელმწიფო დაწესებულებათა მუშამოსამსახურეები).

საერთო მაისის განმავლობაში შემჩნეული იყო ტენდენცია ზოგიერთ საქონელზე ფასების დაკლებისა, რატომაც ცენტრალური სავაჭრო სამმართველო თავს იკავებდა გარიგებებისაგან, მაგრამ მიუხედავათ ამისა უკანასკნელ ხანებში დადებული იყო რამდენიმე გარიგებანი, სწარმოებს მოლაპარაკება და დადებულია ხელშეკრულებანი ზოგიერთ ფირმებთან. ასე მაგალითად, სახელმწიფო ბანკისაგან შეძენილია სავა და სხვა მანუფაქტურა 12274 მანეთისა, „არკოსთან" დადებულია ხელშეკრულება საზღვარგარეთის ბაზარზე 614 ფ. ფრიზონის გასასაღებლად. სახელმწიფო ღვინის ტრესტთან დადებულია ხელშეკრულება ლუდის დამზადებელ ქარხნის საექსპლოატაციოთ და სხვა.

მომავალში განზრახულია ოპერაციების გაფართოება პროვინციაში კოოპერატიულ და სახელმწიფო დაწესებულებებთან ნედლი მასალის—მატყლის, თამბაქოს, სიმინდის, ხეტყის მასალის დასამზადებლად და საპნის, თამბაქოს ტრესტის ნაწარმოების და სხვა საქონლის გასასაღებლად.

გერმანიის პრესის გამოძახილი რუსეთთან ეკონომიური ურთიერთობის დამყარების შესახებ.

რუსეთის ეკონომიურ ცხოვრების განვითარება ამ უკანასკნელ ხანებში იპყრობს გერმანიის მძიმე ინდუსტრიის ორგანოების ყურადღებას. ორგანოები, რომელნიც ემხრობიან გერმანიის სახალხო პარტიის მემარჯვენე ფრთას, მაგ. „ჰამბურგიშერ კორესპონდენტი", სავაჭრო სამრეწველო გავლენიანი ორგანო „ვეზერ ცეიტუნგი", გაზეთი „ალგემაინე ცეიტუნგი", „ბერლინერ ტაგებლატი" და სხვ. აღნიშნავენ, რომ რუსეთი უკვე დადგა მშვიდობიან ეკონომიურ აღშენებლობის გზაზეო. აღნიშნავენ აგრეთვე ფინანსიურ პოლიტიკის სწორ ხაზს, რაც გამოიხატება ხარჯების მნიშვნელოვნად შემცირებაში, მტკიცე ვალიუტისადმი ლტოლვაში — მაგ. ჩერვონცების გამოშვებაში, რასაც სასურველი შედეგები მოჰყვა.

გაზ. „ვეზერ ცეიტუნგი" სწერს „გერმანიის მწარმოებლისათვის ორი შესაძლებლობა არსებობს. მას შეუძლია მიიღოს კონცესია ან დაარსოს შერეული საზოგადოება, ეს იმას ნიშნავს, რომ შეიძლება შევეგუოთ რუსეთის პირობებს".

„გერმანიის დაუხმარებლად,—ამბობს გაზეთი,—რუსეთს არ შეუძლია დაიკავოს ძველი მდგომარეობა მსოფლიო მეურნეობაში და დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ თუ გერმანია გამოიყენებდა რუსეთში არსებულ შესაძლებლობას, მას დიდხანს არ დასჭირდებოდა ლოდინი წარმატებითი შედეგებისა".

ერთ-ერთი ცნობილი ავტორიტეტი ამ დარგში პროფ. კლეინოვი გაზეთ „დეიჩე ალგემაინე ცეიტუნგში" და ბრესლავის სავაჭრო პალატაში გაკეთებულ მოხსენებაში ამტკიცებს, რომ საჭიროა რუსეთთან ეკონომიური დაახლოვება, მაგრამ იძლევა გაფრთხილებას, რომ რუსეთს არ უნდა შევხედოთ როგორც ექსპლოატაციის ობიექტსო. იმასვე ამტკიცებს რეიხსტაგის დეპუტატი(გერმანიის დემოკრატიულ პარტიის დეპუტატი) ლიუდვიგ ჰააზი, რომელიც აღნიშნავს რა რაპალოს ხელშეკრულების მნიშვნელობას, აცხადებს, რომ ეს ხელშეკრულება დარჩება უბრალო ქაღალდათ თუ გერმანიის სავაჭრო სამრეწველო წრეები საკმაო ყურადღებას არ გამოიჩენენ რუსეთ-გერმანიის საქმიან ურთიერთობის საქმეშიო. „შესაძლებელია და საჭიროც არის, ამბობს ის, ვიმუშავოთ რუსეთთან უფრო ფართო მაშტაბით, ვიდრე ამ უკანასკნელ ხანებში ბევრი რამ ძვირფასი დავკარგეთო".

სთვლის რა ამაში დამნაშავეთ რუსეთის ემიგრანტებს, რომელნიც ურჩევდენ გერმანიის მრეწველებს თავი შეეკავებიათ რუსეთთან ეკონომიურ დაახლოვებისაგან, ჰააზი განაგრძობს: „გვიყვარს თუ არ გვიყვარს ჩვენ დღევანდელი რუსეთი, იგი მაინც არსებობს, მისი არსებობა ფაქტია და მას აქვს ძლიერების ყველა ნიშნები და ასეთი სიძლიერისათვის ანგარიშის გაწევა საჭირო, როგორც ეკონომიურის, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით".

გერმანიის სავაჭრო-სამრეწველო პრესა არ კმაყოფილდება საკითხის მხოლოდ დადებითი მხარეთი: იგი აღნიშნავს იმ უარყოფით გავლენებსაც, რომელიც აფერხებს რუსეთთან ვაჭრობას. ეს დაბრკოლება გამოიხატება იმაში, რომ თვითეული საექსპორტო და საიმპორტო გარიგება უნდა იქნას ნება დართული რუსეთის შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის მიერ, რომელსაც შეუძლია უკვე დადებული ხელშეკრულების გაუქმება.

ეს დაბრკოლება ამყოფებს რუსეთს ინტერნაციონალურ ეკონომიურ ურთიერთობის გავლენის გარეშე. თუ ეს დაბრკოლება იქნება გადალახული, მაშინ რუსეთის სამეურნეო აღდგენა ჩქარის ნაბიჯით წავა.

კოოპერატივა

ცეკავშირის ფინანსიური მდგომარეობის მოკლე მიმოხილვა

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ რაც ცეკავშირი საშინელ ფინანსიურ კრიზისს განიცდიდა. ეს კრიზისი უკვე 1920 წლიდან იწყება და წარსულ 1922 წლის დამლევისათვის უკიდურეს წერტილამდე აღწევს. აღნიშნული ხნის განმავლობაში ცეკავშირის საკუთარი თანხები თანდათანობით ლნობოდა ერთის მხრივ და მეორეს მხრივ იზრდებოდა დავალიანება და ბოლოს შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ ცეკავშირის აპარატს აღარ მოეპოვებოდა არავითარი საშუალება მეურნეობრივი მოქმედებისა. საბრუნავ საშუალებათა უქონლობის გამო თითქმის სრულიად შესწყდა აღებ-მიცემობა როგორც სავაჭრო, აგრეთვე სამრეწველო დარგებში და ამავე დროს ყოველ დღიური ხარჯები აპარატის შენახვისა-კი მიმდინარეობდა. აქედან თავის თავად ცხადია ის საბოლოო შედეგი, რომელსაც გვიჩვენებს 1923 წ. 1 იანვრის ანგარიში.

1922 წელიწადი დასრულდა დიდი ზარალით, როგორც სავაჭრო აგრეთვე სამრეწველო დარგებში. სავაჭრო დარგის ზარალი გამოიხატა 11.213 მან. 50 კ. ოქროთი და სამრეწველო დარგის 1.308 მ. 71 კ. ოქროთი. ამასთანავე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სამრეწველო დარგის საწარმოეთ ოპერაციებმა თუმცა ზარალი დასტოვა, მაგრამ სამაგიეროთ ამ დარგში მასალების, ქონების და სხვა და სხვა მანქანების თანდათანობითი დაგროვების გამო შეიქნა ერთგვარი ფონდი, რომლითაც ნაწილი ცეკავშირის საკუთარ.ი თანხებისა გაქრობას გადარჩა და რომლითაც ჩაეყარა საძირკველი სამრეწველო დარგის საკუთარ საბრუნავ თანხებს. ამ ფონდის ჯამი ყველა წარმოებებში უდრის 60 935 მან. 56 კ. ოქრ. ქვემოდ მოყვანილი ცხრილი საკუთარ საბრუნავი თანხებისა გვიჩვენებს, თუ როგორ ილეოდა თანდათანობით ეს თანხები:

საკუთარი საბრუნავი თანხა იყო 1 იანვ. 1919 წ.—3967 მან. ოქროთი, 1920 წ.—2601, 1921 წ.—235, 1922 წ.—54, 1923 წ.—981 მან.

როგორც სჩანს ამ ცხრილიდან 1922 წ. 1 იანვრისთვის საკუთარი თანხა თითქმის არა რამებას წარმოადგენს. 1923 წ. 1 იანვრისთვის-კი მიმატება აიხსნება იმით, რომ 1921 წლიდან, ე. ი., როდესაც საკუთარი თანხები არა რამბას წარმოადგენდა და უკვე შემული იყო, მიღებული იყო რწმუნებულთა კრების მიერ ახალი სისტემა საპაიო გადასახადისა—1 პროცენტი გადახდა საპაიო თანხის ანგარიშში საქონლის ბრუნვაზედ. ამით ივსება შემდეგში თანდათანობით საბრუნავი თანხა, უამისოდ-კი შესაძლებელია საკუთარი თანხა სრულიად გამქრალიყო. ასეთივე სურათს გვაძლევს საერთო ბალანსის ჯამების შედარება:

ბალანსის საერთო ჯამი უდრიდა

1 იანვ.	1919 წ.	— 550,381 მ. ოქრ.
„ „	1920 „	—1,537 230 „ „
„ „	1921 „	— 185,720 „ „
„ „	1922 „	— 63,340 „ „
„ „	1923 „	— 271,619 „ „

როგორც სჩანს ამ ცხრილიდან ცეკავშირის ფართე მუშაობა ყოფილა 1919 წელში, ხოლო 1920 წლიდან უკვე ბალანსი თითქმის 9 ჯერ მცირდება შედარებით წინა წელთან, 1922 წ. 1 იანვრისთვის-კი ბალანსი 24-ჯერ ნაკლებია შედარებით 1920 წ. 1 იანვრის ბალანსთან. 1923 წლის 1 იანვ. უკვე ბალანსი იზრდება შედარებით წინა წელთან 4-ჯერ, მაგრამ ეს ზრდა აიხსნება იმით, რომ დეკემბრის პირველ რიცხვებში ბალანსს მოემატა მთავრობის სესხი (ახალი) 90,000 მანეთი ოქროთი და მთავრობის სესხი (ძველი) 35,000 მან

1923 წლის 1 იანვრიდან უკვე როგორც ვხედავთ ბალანსი გაიზარდა და ცეკავშირის მეურნეობაში ახალი თანხები დატრიალდა. იმ საერთო სურათის წარმოსადგენად, თუ როგორ დაიწყო მუშაობა ცეკავშირმა ამ წლის 1 იანვრიდან გადავავლოთ თვალი 1 იანვრისთვის შედგენილ ბალანსის ციფრებს.

აქტივი (ბათომის განყოფილ-) ოქროთი:

1) ნაღდი საშუალებანი 66.265—52 2. სარგ. ქაღალდ. ვექს. და დოკუმენტები 149 - 01, 3. ქონება 26.198—65, 4. საქონელი 45.258—97, 5. დებიტორები 52.959—08, 6. სამრეწველო დარგი 6 632—66, 7. განყოფილებანი 55 540—61, 8. სხვა თანხები აქტივისა 7.390—98, 9. ზარალი 11.213—93, 10. ბალანსი 271.619—41.

პასივი (განყოფილებებიანათ):

1. საკუთარი საბრუნავი თანხები 981—11, 2. სპეც ფონდები 14.206—47, 3. კრედიტორები 221.879—53, 4. განყოფილებანი 34.652—30. სულ 271.619—41.

როგორც სჩანს ამ ციფრებიდან პასივის უმთავრეს ნაწილს შეადგენს ჯამი კრედიტორებისა და ამავე დროს აქტივის რეალურ ღირებულებათა ჯამიც (საქონელი, ნაღდი, ქონება, სამრეწველო დარგი და განყოფილებანი) თითქმის უდრის ამ რიცხვს. ამგვარად 1 იანვრიდან იწყება ახალი საქმე ახალი თანხებით. ვნახოთ ახლა როგორ ამუშავდა ეს ახალი თანხები ცეკავშირის მეურნეობაში.

როგორც ზევით აღვნიშნეთ ცეკავშირის აპარატი 1923 წლის დამლევისთვის უკვე თითქმის ალარავითარ აღებ მიცემობას არ აწარმოებდა და მხოლოდ მიმდინარე ხარჯებს იწეო., და. თავის თავად ცხადია აქედან რომ შემდეგში ამუშავებული აღებმიცემობა პირველ ხანებში ვერ გაასწორებდა ხარჯებს და ამგვარად ნაწილი თანხებისა საჭირო იყო სავაჭრო ხარჯების დასაფარავად.

მიუხედავათ ამისა აღებ-მიცემობა—საქონლის ბრუნვა და წარმოებათა ამუშავება წარმატების გზაზედ დადგა. 1 იანვრიდან 1 მაისამდე საქონლის საერთო ბრუნვის ჯამი გარდა ბათომის განყოფილებისა უდრის—230.218—42 კაპ. ოქროთი. აქედან ნაყიდია 142.793 მან. 55 კაპ. და გაყიდულია—87.424 მან. 87 კაპ. საქონელი და შესრულებულია სავაჭრო საკომისიო ოპერაციები (ცეკავშირის საშუალებით შესყიდული და გაცემული საქონელი მოკავშირეებზედ) 174.325 მ. 73 კაპ. ამ თანხიდან გაყიდულ საქონლის ჯამს შეადგენს 97.864—43 კაპ. როგორც სჩანს ამ ციფრებიდან სავაჭრო დარგის ოპერაციები უკვე ამუშავებულია მაქსიმალურად და ბალანსის პასივის კრედიტორთა ჯამი თითქმის სულ მოქცეულია სავაჭრო აღებმიცემობაში.

ამავე ხნის განმავლობაში გაწეულია მიმდინარე ხარჯები 28 996 მან. 43 კაპ. რაც გაყიდულ საქონლის ჯამთან (87 424 მან. 97 კ. საწყობებიდან 97.864 მან. 43 კ. სავაჭრო საკომერციო ოპერაც.—195 289 მან. 30 კაპ) შედარებით 15 პროცენტამდე შეადგენს. ასეთი პროცენტული შედარება მიმდინარე ხარჯებისა საქონლის ბრუნვასთან უკვე ნორმალურად უნდა ჩაითვალოს და ცხადია, რომ საქონლის ბრუნვიდან მიღებული პროცენტებით თავისუფლად დაიფარება მიმდინარე ხარჯები. და თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ მიმდინარე ხარჯები ძველად გაჩერებულ აპარატზედ იყო გაწეული, თავის თავად ცხადია, რომ უფრო უკეთეს შედეგს უნდა ველოდეთ შემდეგში.

წინმსვლელობის ნიშანს ვხედავთ აგრეთვე სამრეწველო დარგშიაც. ამ დარგს ჩამოსცილდა (მოხდა ლიკვიდაცია მექანიკურ სახელოსნოების და და საპნის ქარხნის) ისეთი წარმოებანი, რომელნიც მოითხოვდნენ საწარმოებლად დიდ თანხებს და ამავე დროს იწვევდნენ დიდ ხარჯებს. ძველ წარმოებებიდან დარჩენილი სტამბა და ძეხვის ქარხანა, როგორც სჩანს მათი ანგარიშებიდან და მათი დამოკიდებულებიდან ცენტრალურ კასასთან, უკვე თავის ხარჯებს თვითონვე ასწორებენ და თავისივე ძველათ დაგროვილ თანხებით მუშაობენ. სამრეწველო დარგზე ცენტრალურ კასიდან გაცემული თანხა (გაცემულია მათზე 1 იანვრ. 1 მაისამდე 31.912 მან. 25 კ. და დაბრუნებულია უკან 10.868 მან. 45 კ.) 27.676 მან. 46 კ. უმთავრესად მოხმარდა ახალ წარმოებას—აბრეშუმის საქსოვ ქარხანას და გორის საკონსერვო ქარხნის შეკეთება-გაფართოებას. პირველი მათგანი თუმცა მოითხოვს შემდეგში დიდ თანხებს ასამუშავებლად, სამაგიეროთ თავის წარმოებით შესძლებს ყველა თავის ხარჯების დაფარვას, რაც შეეხება საკონსერვო ქარხანას, რომლის მუშაობის სეზონი ეხლა იწყობა, გაფართოების და გადაკეთების შემდეგ უეჭველად უნდა ველოდეთ, რომ წარმოება ფართო ნიადაგზე დადგება და ყველა თავის ხარჯებსაც გაისტუმრებს. ამგვარად ცეკავშირის ორდიდ საალებმიცემლო დარგებში მუშაობა უკვე აწყობილია იმ ფარგლებში, რაც შესაძლებელი [illegible] ბული თანხების საშუალებით.

ერთი რამ [illegible] ით მხედველობაში, რომ რაც შეიძლება ნაკლებათ იყვეს გაფანტული ცეკავშირის თანხები დებიტორთა შორის. 1 მაისისთვის დებიტორთა ჯამი უდრის 105 769 მან. 76 კ. ამავე დროს კრედიტორთა ჯამი კი უდრის თითქმის 300 000 მან. და თუ მუდმივი ბრუნვა იქნა ცეკავშირსა და მის შორის დებიტორთა (უმთავრესად სარაიონო კავშ.) შორის ხშირად შეიძლება ვერ გავამართლოდ თავის დროზედ კრედიტორთა მოთხოვნილებანი.

ასეთია მოკლეთ ცეკავშირის საერთო დღევანდელი ფინანსიური მდგომარეობა.

შრომის სკოლების მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსების მუშაკთა კონფერენცია

(პირველი სხდომის გაგრძელება იხ გაზ. „კომ." № 139)

1. შრომის სკოლის მასწავლებელთა გადასამზადებელი თვენახევრიანი კურსების სასწავლო გეგმა.

კურსებზე მეცადინეობა სწარმოებს ყოველ დღე 6 საათი, რომელზედაც გადიან შემდეგ საგნებს: 1) მუშათა მოძრაობის ისტორია დასავლეთ ევროპაში და რუსეთში, 2) საბჭოთა აღმშენებლობა, 3) პოლიტიკური ეკონომია, 4) სწავლება შრომის სკოლაზე, 5) სამშობლო ენის მეთოდიკა, 6) მათემატიკა, 7) ფიზიკის მეთოდიკა, 8) საზოგადოებრივობის შესწავლა, 9) ბუნების მეტყველების შესწავლა, 10) გეოგრაფიის შესწავლა, 11) ადგილობრივი წარმოების შრომის პრინციპების შრ. სკოლის სასწავლო მასალაში ჩართვის მეთოდები, 12) პედაგოგიური ფსიქოლოგია და პედაგოგიკის ისტორიის იდეები, 13) ბავშვის ფსიქოლოგია, 14) საქართველოს ეკონომიური გეოგრაფია, 15) სტატისტიკის საფუძვლები, 16) ესთეტიური აღზრდა შრ. სკოლებში, 17) ფიზიკური აღზრდა, 18) სასკოლო ჰიგიენის საფუძვლები, 19) შრომის სკოლაში თვითმართველობის საფუძვლები, 20) სასკოლო ჰასაკამდე აღზრდის საერთო პრინციპები, 21) სასკოლო მუშაობის ორგანიზაცია (წრე, სტუდია, ბაასი, ლექცია, სპექტაკლი და სხვა).

შენიშვნა: ლექტორი ვალდებულია გადასცეს მსმენელებს ლექციის დაწერილებითი კონსპექტი. თითო მსმენელი ვალდებულია კურსებზე ყოფნის დროს გააკეთოს ერთი მოხსენება მაინც მეთოდიკური ხასიათის. სასურველია მოეწყოს სანიმუშო გაკვეთილები ლექტორის თანდასწრებით. სასურველია მეცადინეობა სწარმოებდეს არა მარტო ლექციის საშუალებით, არამედ წრის მეთოდითაც.

2. შრ. სკოლის მასწავლებელთა ორთვენახევრიანი გადასამზადებელი კურსების სასწავლო გეგმა.

მეცადინეობა სწარმოებს ყოველ დღე 6 საათი. სასწავლო გეგმა იყოფა ორ ნაწილად, პირველ თვენახევარს მუშაობა სწარმოებს დაუმუშავებელ მასალებზე, შესწავლება შრომის სკოლის დისციპლინის ძირითადი საფუძვლები, უკანასკნელი თვე მონდომებული იქნება მეთოდიურ და მეთოდოლოგიურ საკითხების და ზოგადი პედაგოგიკის და ფსიქოლოგიის საფუძვლების შესწავლას. აღნიშნულ კურსების სასწავლო გეგმა: 1) ანგარიში და ალგებრის ელემენტები, 2) გეომეტრიის მოკლე კურსი, 3) სამშობლო ენა, 4) ბუნებისმეტყველება, სამშობლოს აღწერა გეოგრაფიითურთ, 5) საბჭოთა აღმშენებლობა, 6) ელემენტარული პოლიტიკური ეკონომია, 7) საზოგადოებრივობის შესწავლა სოც. გარემოსა და სამშობლო ქვეყნის სახელმწიფოებრივ წესწყობილების გაცნობასთან დაკავშირებით.

უკანასკნელი თვის სასწავლო გეგმა: 8) მთ. შრომის სკოლა (ამოცანები, მიზნები, სანიმუშო პროგრამა, სწავლება შრომის სკოლაზე), 9) სამშობლო ენის მეთოდიკა შრომის პროცესებთან დაკავშირებით, 10) მათემატიკის მეთოდიკა, 11) ბუნების მეტყველების და გეოგრაფიის მეთოდიკა, 12) საზოგადოებრივობის შესწავლის მეთოდიკა, 13) საქართველოს ეკონომიური გეოგრაფიის საფუძვლები, 14) სტატისტიკის ძირითადი საფუძვლები, 15) შრომის სკოლის სასწავლო მასალაში ადგილობრივ წარმოებათა შრომის პრინციპების ჩართვის მიხედვითი მეთოდებით, 16) ესთეტიური აღზრდა შრომის სკოლაში, 17) ფიზიკური აღზრდა შრომის სკოლაში, 18) თვითმართველობის საფუძვლები შრ. სკოლაში, 19) ჰიგიენის საფუძვლები შრ. სკოლაში, 20) საკრებულოს მუშაობის ორგანიზაცია (წრეები, საუბრები, წარმოდგენები, ლექციები და სხ.).

ზევით აღნიშნული **შენიშვნის** შინაარსი შეეხება ამ საგანსაც.

კურსების სასწავლო გეგმების შესახებ გამოდის ამხ. ვ. ჩარექიშვილი, რომლის რამოდენიმე შესწორებების შეტანის შემდეგ, ამხ. ორახელაშვილი გამოდის საპასუხო სიტყვით და იცავს წამოყენებულ სასწავლო გეგმას რის შემდეგ მიღებული იქნა რეზოლიუცია „უფლება მიეცეს კურსების ხელმძღვანელს აუდიტორიის მომზადების მიხედვით შესცვალოს საგნების საათები და შეიტანოს პროგრამაში ის საგნები რომელნიც გეგმით არ არიან გათვალისწინებულნი".

„სტატისტიკის საფუძვლების" შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ათაბეგოვი. მომხსენებელი ვრცლად შეეხო აღნიშნულ საკითხს და საყურადღებო მოსაზრებების წამოყენების შემდეგ, ყრილობამ დაადგინა: დაევალოს მომხსენებელს ამხ. ზებურიშვილთან ერთად წარმოადგინოს მოხსენების ძირითადი თეზისები და და სკოლაში გამოსაყენებელი სტატისტიკური მასალის დამუშავების პრაქტიკული შენიშვნები.

ჩვენი ძველი კულტუროსნები

(კოტე მარჯანიშვილის მოხსენების გამო)

1.

„არ გათეთრდება ყორანი, რა გინდა ხეხო ქვიშითა"!

აი, რა სიტყვები მადგება წამდაუწუმ ენაზე მას შემდეგ, რაც „ხელოვნების სასახლეში" რეჟისორ მარჯანიშვილის მოხსენება და ამ მოხსენების გამო ატეხილი ხოტბა—განგაში მოვისმინე. მოვისმინე აგრეთვე (იქვე, იმავე საღამოს) მეორე, ლეო ქიაჩელის, მოხსენებაც, რომელიც კონტრმოხსენებათ შეიძლება ჩავთვალოთ მხოლოდ საკითხის თეორეტიულათ გაშუქების მხრით. და დღეს გულახდილათ უნდა ვთქვა, რომ ჩვენი ძველი, ვითომდა ახალ ტყავში გახვეულნი, კულტუროსნები მეტათ კერპნი და ჯიუტნი გამოდგნენ!

ეს საღამო (18 ივნისს ხელოვნების სასახლეში გამართული), ეს მოხსენებები, ეს სიტყვები ნათლათ გვიჩვენებენ ერთი მხრით იმას, თუ რა **ნაყოფი გამოიღო ნეპმანიის პირობებში „კულტურულმა" პოლიტიკამ ხოლო მეორე მხრით აშკარავებენ თუ რა ღვარძლი, რა გულჩათხრობილი, გულის ხილრმეში მიჩქმალული „პოლიტიციზმი" და იმავე დროს ჩუმათ შემოპარული ნაციონალიზმი ღვივის იმ მწერალთა გულში, რო**მლებიც „ახალი" ქართული კულტურისათვის თავს დებენ!

აქ კოტე მარჯანიშვილის და ლეო ქიაჩელის გარდა გამოვიდენ: პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, მხატვარი მოსე თოიძე, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, კოწია გამსახურდია და ბოლოს, როგორც აპოთეოზი—გრიგოლ რობაქიძე.

ყველა ესენი შეეხენ თეატრის საკითხს საერთოდ და ქართული თეატრს კერძოთ.

ლეო ქიაჩელმა თავის მოხსენებაში საფუძვლიანათ აღნიშნა, რომ ბურჟუაზიულ თეატრს ჯერ ისევ მე-19 საუკუნეში დაუდგა კრიზისი და იგი დღემდე „ძიების" ხანაში იმყოფება. კრიზისი მისი აზრით ამერიკული მანქანის, უსულგულო სანახაობის, მექანიკური თეატრით, ხოლო ევროპიული „ძიების" ხანა თეატრის „გამასხარავებით" დაგვირგვინდა. ეს ყოველივე აშკარა ფაქტია.

სამწუხაროდ მომხსენებელმა ვერ გაუკეთა ისტორიულ - კლასობრივი ანალიზი ვერც კრიზისის და ვერც „ძიების" „გამასხარავების" მიზეზებს და ეს იმიტომ, რომ როგორც ხსენებული მოხსენებისთვის, ისე ყველა ამ საღამოს გამოსულ ორატორებისათვის ისტორიულ-კლასობრივი თვალსაზრისი შეუთვისებელი და მიუდგომელი რამ არის. საყურადღებოა და აღსანიშნავია მხოლოდ ის, რომ ლეო ქიაჩელმა „ძიების" ხანა ორ პერიოდათ გაყო და ამ ორი პერიოდიდან მხოლოდ პირველი დაგვიხასიათა სისწორით.

მისი აზრით პირველ პერიოდში თეატრის „განმაახლებელნი" და ამაღორძინებელნი" მხოლოდ იმის „ძიებაში" არიან, **„თუ როგორ, რა ფორმით, რა პირობით და როგორი მიზანსცენებით" დადგან რომელიმე პიესა. „ხოლო რა შინაარსის, რა ცხოვრების" შინაგანი დრამის გამომხატველი იქნება ეს პიესა, ეს მათთვის სულ ერთია!**

აი ასეთ „მაძიებელთა" რიცხვს ეკუთვნის თურმე ჩვენი თეატრის „განმაახლებელ - ამაღორძინებელი", „სამშობლოში ახლად დაბრუნებული", მოსკოვში სახელ განთქმული ქართველი რეჟისორი, კოტე მარჯანიშვილი, რომელიც ამ საღამოს „ქართველ ახალგაზრდობას" დაპირდა, რომ იგი მალე ნამდვილი ქართველი გახდება, (რაც მქუხარე ტაშით დაიფარა). ამ საღამოს გამოსული ორატორები სხვადა სხვა მხრიდან უდგებოდენ მას და ქება-დიდების შემდეგ მოკრძალებით „მცირეოდენ" შენიშვნებსაც აძლევდენ, ძირითადად კითხვა, ცხადია, ვერავინ დააყენა გარდა გრიგოლ რობაქიძისა, რომელმაც სამაგიეროდ ისე რიხიანი ღრმა პათოსით შეტოპა „მითოსში", რომ ბოლოს ქართული თეატრის სულ უარყოფა გამოუვიდა: მას არ მოსწონს მომავლის თეატრი, პროლეტარული თეატრი ისე, როგორც არ მოსწონს და შეუძლებლად მიაჩნია იარსებოს ჩვენში პროლეტარულმა მწერლობამ, ვინაიდან ჩვენი პროლეტარული მწერლები „ორლომბებს" არ გაშორებიან და არც მანქანები უნახავთ და არც „ჰაეროპლანებით უმოგზაურნია" თურმე! ალბად გრიგოლს ჰგონია, რომ პროლეტარული მწერლობა მხოლოდ მას შეუძლია, ვისაც პარიზის და ლონდონის ბულვარები უტკეპნია და ვინც ჰაეროპლანებით მოგზაურობს!

2.

მაგრამ გადავიდეთ თვით მთავარ საგანზე, თვით იმ მთავარ თემაზე, რომელზედაც მომხსენებელმა კოტე მარჯანიშვილმა ილაპარაკა. ეს არის „გეგმა", რომლითაც მომავალ წელში ჩვენი თეატრი უნდა „გაჯანსაღდეს, განახლდეს და აღორძინდეს".

ჩემი მომავალი მოქმედების ქვაკუთხედი, გული იქნება შოთა რუსთაველიო, ამბობდა დაბეჯითებით მომხსენებელი და მთელ თავის იმედებს იმ ოცდა ერთ პიესაზე ამყარებდა, რომელნიც მას ამ ჟამად ხელთა აქვს.

ჩვენ საშუალება გვეძლევა განათლების კომისარიატისაგან, რომ ამ ზაფხულს, ბორჯომში დავამზადოთ ყველა ეს პიესები მომავალი სეზონისათვისო, განაგრძო მან და თან დასადგმელ პიესებისა და ავტორების სახელები ჩამოგვითვალა.

ჩვენ კი აქ უნდა შევჩერდეთ და უნდა შევეკითხოთ როგორც ამ გეგმის ავტორს, ისე მის თანამოზიარე თანამგრძნობთ, აგრეთვე იმათაც, ვისი თანხმობის და „დაშვების" მეოხებით ჩნდება ჩვენში ასეთი „გეგმები" და ასეთ კულტურულ თარეშს კიდევ ადგილი აქვს!

როგორ!? პროლეტარულ რევოლიუციის ხანაში, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ქართველ ხალხს, მუშას, გლეხს, ინტელიგენტს იმდენი კულტურული ძალა აღარ შესწევს, რომ თანადროული, რევოლიუციური კლასიური მწერლობა და თეატრი შექმნას?!!

ვიდრე ამაზე ვუპასუხებდე, საჭიროთ მიმაჩნია ჯერ კარგათ გამოვარკვიო, გავაშუქო კოტე მარჯანიშვილის მიერ წარმოდგენილი გეგმა, თუ რას შეიცავს ის, რას ნიშნავს მისი გატარება.

პირველათ ჩვენში (50-იან წლებში) თეატრი „ნამესტნიკ". ვარანცოვის მფარველობის ქვეშ აღორძინდა და განვითარდა. ამით განათლებულ-გაჩინოვნიკებული ქართველი თავადაზნაურობა რუსულ-ევროპიულ კულტურას ეზიარა; და რადგან იგი (თეატრი) ქართულ ენაზე და მომეტებულათ ქართული რეპერტუარით (გიორგ. ერისთავის და ანტონოვის პიესები) საზრდოობდა, ამიტომ მას თავიდანვე ეროვნული ხასიათი მიეცა; ეს ეროვნული ხასიათი შერჩა მას შემდეგშიაც, როცა თავადაზნაურულ ინტელიგენციის ალაგი ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა დაიკავა.

და ეს ის გარდამავალი ხანა იყო, როცა თეატრის „ლოჟებს" და „პარტერს" ერისთავებს და ორბელიანებს, ნაცვლათ „ისაკ-ისაკიჩ მეჯღანუაშვილები" იჭერდენ. ისაკ-ისაკიჩები თუმცა ერთხანს ერისთავების თეატრით და რეპერტუარით კმაყოფილდებოდენ, მარა მალე მათაც თავისი საკუთარი თეატრი და რეპერტუარი მოითხოვეს.

და აი კიდეც გაჩნდენ ჩვენში აქსენტი ცაგარლები და ვასო აბაშიძეები ერთი მხრით, ხოლო მეორე მხრით ევროპიელი კლასიკები და ლადო მესხიშვილები. ეს იყო წმინდა ქართული ბურჟუაზიული თეატრი; მარა ამავე დროს შეუძლებელი იყო ქართულ პირობებში სრულიათ ჩამკვდარიყო ძველი „ეროვნული ხასიათის" თეატრი. პირიქით ეს „ეროვნული" ახლა უფრო უნდა გაძლიერებულიყო, ვინაიდან ეროვნულ თავად-აზნაურულ ინტელიგენციას ახალი „ბურჟუაზიულ-დემოკრატიული" ინტელიგენცია და ელასი მიემატა, რომელიც სხვა კრების ბურჟუაზიასთან საკონკურენციო ბრძოლაში მხარის დაჭერას მოითხოვდა. საჭირო იყო ხელოვნებასაც, ამ შემთხვევაში თეატრს, თავისი ჩანგი მათ ჰანგზე აეწყო.

ასედაც მოხდა, მაგრამ, რადგან ამ საქმეში ქართველ თავად-აზნაურულ ინტელიგენციას კარგა ხნის გამოცდილება ჰქონდა, ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმაც ამით ისარგებლა და ყოფილი „ეროვნული თეატრი" თავის თეატრათ გამოაცხადა; მისი „ეროვნული რეპერტუარი" თავისი ბურჟუაზიულ-დემოკრატიულით შეავსო და ამნაირათ ხმა შეწყობილათ, ხმა ტკბილათ განაგრძო წინ სვლა: დავით ერისთავებს, წერეთლებს და ყაზბეგებს გვერდში ამოუდგენ მაჩაბლები, ფურცელაძეები და ცაგარლები; ერისთავის „სამშობლოს" მოჰყვა შექსპირის ტრაგედიები, შემდეგ „რაც გინახავს ვეღარ ნახავ", „ხანუმა" და სხვა. ამნაირათ იმ ნეტარ ეროვნულ თეატრის ხანაში სეზონი იწყებოდა სახელგანთქმული პატრიოტული პიესით, „სამშობლოთი" და თავდებოდა „ხანუმათი".

მაგრამ, როგორც ვიცით, ევროპა-ამერიკის განათლებული საზოგადოება „რანტუს" ფსიხოლოგიამ, გართობა-სანახაობის გრძნობებმა შეიპყრო და თეატრიც ამ გზას გაჰყვა; აქედან წარმოიშვა მისი დაცემის ხანაც. იმპერიალიზმი ამ დაცემას კიდევ უფრო ხელს უწყობს და ასე, ამნაირათ როგორც მთელი ბურჟუაზიული ხელოვნება, ისე თეატრიც თახსირდება, საზოგადოებრივ მნიშვნელობას ჰკარგავს.

მაგრამ ხელოვნების წმინდა ქურუმთ ეს არ სურთ, ვინაიდან მათ იციან; რა კი ხელოვნება დაეცემა, მასთან მათი თაყვანისცემა, სახელიც და „ხახრაცი" გაჰქრება. ამიტომ ისინი ცდილობენ საქმე გამოაკეთონ: ხელოვნება კვლავ „განახლონ და აღორძინონ", მარა ამისთვის, ცხადია, არც მათი ქურუმობა და მაღალ ნიჭიერება, არც მტკიცე ნებისყოფა და „დიქტატურა" არ კმარა.

უპირველესათ ყოვლისა უნდა ვიცოდეთ, რომ კლასობრივ საზოგადოებაში საერთოდ ხელოვნება და კერძოთ თეატრი გაბატონებული კლასის ინტერესებს და მოთხოვნილებას ემსახურება.

თუ გაბატონებულია ერთი კლასი, ხოლო ხელოვნება მეორე და მესამე კლასის ინტერესებს ემსახურება, ცხადია, ამ შემთხვევაშიაც იგი ყოველმხრივათ კრიზისს განიცდის.

ამნაირათ თუ ევროპა-ამერიკაში პირველნაირი მიზეზი—იმპერიალიზმი და „რანტუს" პსიხოლოგია აჩენს ბურჟუაზიულ ხელოვნების საერთო კრიზისს, სამაგიეროთ გამარჯვებული პროლეტარიატის ქვეყნებში, საბჭოთა ქვეყნებში იმავე ბურჟუაზიული ხელოვნების კრიზისს გარდა ზემოთ დასახელებულ საერთო მიზეზისა, კიდევ უფრო ამწვავებს ის დიდი გარემოება, რომ ახლა მას მუშებისა და გლეხების სახელმწიფო მფარველობა დაცვას აღარ გაუწევს, პირიქით საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობა „ზომებს მიიღებს", რომ ბურჟუაზიული კულტურის „უკვე გახრწნილი" ნაშთები დაასამაროს.

3.

როგორც სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში, ისე საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაში ზემოთ აწერილი პროცესტით სამკვიდრო დაგვრჩა ჩვენ, ქართველ მუშებს, გლეხებს, ინტელიგენტს, ერთი სიტყვით საბჭოთა საქართველოს ყველა **მუშა-მოსამსახურეებს** ქართული თეატრი. წვრილი მესაკუთრე—გლეხი, ხელოსანი, ეს დღევანდელი „საზოგადოების" გარეშე ელემენტია; ხოლო ხელოვნების და მეცნიერების მსახური, ეს აი ამ „საზოგადოების"—მუშა-მოსამსახურეების—მოსამსახურეა.

ქართული ხელოვნებისა და მეცნიერების ქურუმთ, ჩვენ „განათლებულ" კულტუროსნებს ეს რომ ასე ესმოდეთ, მაშინ, ცხადია, ის გაუგებრობა და მუშა-მოსამსახურეებისგან დაშორება არ მოხდებოდა, რომელიც დღეს ქართულ კულტურულ დაწესებულებებმა გამეფებული.

ჩვენს კულტუროსნებს რაღაცნაირი განყენებული ხელოვნების და მეცნიერების მსახურათ წარმოუდგენიათ თავი და ამიტომ ისინი თავს უფლება მოსილათ გრძნობენ ანგარიში არ გაუწიონ აწინდელ არც „საზოგადოების" შემადგენლობას, არც პოლიტიკურ ძირითად ცვლილებას და არც ისტორიულ-კლასობრივ მსვლელობაცვალებადობას. მათთვის „წმიდა ხელოვნება" და მეცნიერება „მარადიულია". „მარადისობა" მათთვის ყველაფერია **მაშინ, როდესაც ცხოვრების დედა-ძარღვი ცვალებადობაა.** ასეთი გაგებით და მეტაფიზიკით აღჭურვილი ხელოვანი, ცხადია „მისტერიების" მეტს ვერას მოგვცემს რა გინდ იგი „მაღალ განათლებული" და ნიჭიერი იყოს.

დიდათ „განათლებული", გამოცდილი, ცნობილი და ნიჭიერი რეჟისორია კოტე მარჯანიშვილი და კიდევ უფრო „განათლებული", ცნობილი, გამსწავლული და მაღალ ნიჭიერი მრავალ მხსოვანი პიროვნებაა გრიგოლ რობაქიძე. ამიტომ, ცხადია, ჩვენი საზოგადოების მხრით მათი უყურადღებოთ დატოვება, უგულებელყოფა, დიდი უკულტურობა იქნებოდა; **მაგრამ იმავე დროს ჩვენი დღევანდელი ხელოვნების, ქართულ კულტურის მესვეურებათ, „ბურჯებათ" მათი გამოცხადება, კიდევ უფრო მეტი უკულტურობა, უპრინციპობა და ღალატი იქნებოდა ჩვენი მხრით.**

ამის მაჩვენებელ-დამამტკიცებელი მაგალითები ბევრია, რომელთა ჩამოთვლას აქ არ შეუდგები, აქ სრულიათ საკმაოა ეს დებულება ზემოთ აღნიშნული თემით—თეატრის თემით—ნათელ ვყოთ.

კოტე მარჯანიშვილს მტკიცეთ აქვს გადაწყვეტილი და მისივე სიტყვით ამის უფლებაც უკვე მიუღია მას, რომ მომავალ ქართულ თეატრს შოთა რუსთველის ვეფხვის ტყაოსანის გასცენიურება და გრიგოლ რობაქიძის მისტერიები—ლონდა და ჯვარი ვაზისა საფუძვლად დაუდვას. ესე იგი სეზონი დაიწყოს შოთათი და გაათავოს გრიგოლით; და ეს ალბათ იმ მოსაზრებით, რომ ჩვენი, ქართული, წარსული კულტურის უდიდეს განძს შოთას ვეფხის ტყაოსანი წარმოადგენს, ხოლო თანამედროვე ქართული მწერლობისას—გრიგოლ რობაქიძის მისტერიები შეადგენს.

აქედან აშკარათ სჩანს, რომ კოტე მარჯანიშვილს მიზნათ დაუსახავს ქართველ „საზოგადოებას" უმთავრესათ ქართული ხელოვნების რაც კი რამ მასში უდიდესი და უუმშვენიერესია, როგორც წარსულში, ისე აწმყოში დაანახვოს და გააცნოს, რომ ამით იგი, ქართველი საზოგადოება თავისივე თვალში ამაღლოს და კულტურული სიამაყით ათქმევინოს: **ჩვენც დიდი, მაღალი კულტურის ხალხი ვართ და იხე ადვილათ ხელს ვერავინ წამოგვკრავს, როგორც ამას უკულტურო ხალხს ჩვეულებრივათ უშვრებიანო.**

4.

ჩვენ იოტის ოდენი არაფერი გვეთქმოდა ასეთი მიზნის წინააღმდეგ, რომ ამ „გეგმის" ავტორებს „ჩვენი საზოგადოება" ისე ყავდეთ წარმოდგენილი, როგორც ეს ჩვენა გვყავს და ჩვენ თანამედროვე საზოგადოებათ ისინი საბჭოთა საქართველოს ქართველ მუშა მოსამსახურეებს ცნობდენ და არა მრავალნაირ კერძო „დამოუკიდებელ" მესაკუთრეებს. ეს ერთი.

მეორე თუ მიზანს ამგვარათ დავისახავთ, მხედველობაში თანამედროვე საზოგადოებას—საბჭოთა ქართველ მუშა-მოსამსახურეებს — ვიყოლიებთ, მაშინ, ცხადია, ის საშუალება—ვეფხის ტყაოსანი და მისტერიები—სულაც არ გამოდგება, რომლისთვისაც მათ მიუმართავთ.

„ეროვნულ სიამაყეს", დამოუკიდებლობას ისე, ვით პიროვნებას თვითშეგნების და დამოუკიდებლობას, ჩვენ სულაც არ უარვყოფთ, პირიქით მას თავგამოდებით და მტკიცეთ დავიცავთ; მაგრამ.. მთელი ძალა და მნიშვნელობა სწორეთ **ამ „მაგრამშია".** საზოგადოების კლასობრივ შემადგენლობას ერთი წამითაც ვერ დავივიწყებთ და ყოველთვის ვეცდებით მუშა-მოსამსახურეების ახალი კულტურული მოთხოვნილება წამოვაყენოთ წინ, ხოლო წვრილი „დამოუკიდებელი" მესაკუთრეების კი სრულიათ უყურადღებოთ დავტოვოთ.

და აი, როცა ასე დავაყენებთ საკითხს, მაშინ დავინახავთ, რომ ამ თვალსაზრისით ზემოთ დასახელებულ

მუშათა ცხოვრება

საჭიროა აილაგმოს.

(პროფკავშირის და შრომის ინსპექციის საყურადღებოდ).

რუსთაველის ქუჩაზე რუსთაველის თეატრის პირდაპირ—არის დარბაზი, ეგრედ წოდებული „ბოგემა", სადაც არსებობს ლოტოს სათამაშო და გვერდზედაც ბუფეტი, რომელიც ღამის სამ საათამდის ვაჭრობს. ეს ბუფეტი აქვს აღებული მოქ. დიმიტრი გიგიბერიას. მას უწინ ჰქონდა პუშკინის ქუჩაზე რესტორანი და თავის მოსამსახურეთ არავითარ ანგარიშს არ უწევდა. ეხლა კი მან ზემოხსენებული ბუფეტი აიღო და იქ ამუშავებს რამოდენიმე მუშა-მოსამსახურის, მაგრამ ჯამაგირს კი არავის აძლევს და „დღის ხელფასით" ატყუებს. გიგიბერიას მიმართის მუშებმა თავიანთ კავშირს, მაგრამ გიგიბერიას ვერაფერი მოუხერხეს. ამ გიგიბერიას ჰყავს საქმის მწარმოებლად გიორგი ტარტუნიანი; ამ გიორგის ხელობა მარტო ის არის, რომ მოხერხებულად ატყუოს კავშირი და მუშებიც. გიგიბერია მოსამსახურეებს ამუშავებს დილის ცხრა საათიდან საღამოს ცხრა საათამდე და ზოგსაც დილის სამამდისაც. მუშებს პირდება პროცენტებს ზედმეტი სამუშაოსათვის, მაგრამ პროცენტებს კი არა, ჯამაგირსაც არ აძლევს მათ.

საჭიროა პროფკავშირმა ამ გარემოებას მიაქციოს ყურადღება და ერთხელ და სამუდამოდ აილაგმოს თავგასული ვაჭარი.

მომუშავე

ქალაქის მე-3 საავადმყოფოში.

ქალაქის მე 3 საავადმყოფოში რამოდენიმე თვის წინად ბევრ დეფექტს ჰქონდა ადგილი: 1) საავადმყოფოს არ ჰქონდა თავისი აფთიაქი, 2) ერთობ მიძინებული იყო ადმინისტრაციის ყურადღება მუშა-მოსამსახურეებისადმი.

მაგრამ საავადმყოფოს ეხლანდელი ექიმების დანიშვნის შემდეგ საავადმყოფოს მდგომარეობა მრავალ მხრივად გამოკეთდა.

მოწყობილ იქნა ახალ ადმინისტრაციის შრომით და მასთან აფთიაქის ეხლანდელ გამგის მონდომებით საავადმყოფოს აფთიაქი. განახლებულ და გაუმჯობესებულ იქნა ამბულატორიები და სხვა.

წინად ძალიან იგვიანებდა აქ მუშა-მოსამსახურეთათვის ჯამაგირების მიცემა. ეხლა კი ყოველ თვეში იძლევიან ჯამაგირებს თავის დროზე. საავადმყოფოს ყველა წარმოებებში და დაწესებულებებში მუშა-მოსამსახურენი სარგებლობენ საჭიროების დაგვარად ავანსებით.

საავადმყოფოს ერთ ცუდ მხარედ უნდა ჩაითვალოს ის, რომ მას არ აქვს საკუთარი სამრეცხაო, რაც იწვევს ზოგიერთ მოსამსახურეებში უსიამოვნებას, რადგანაც შორს, სხვა ადგილოზე, მიაქვთ გასარეცხი, რისთვისაც დიდი ხარჯები მიდის. ამიტომ საავადმყოფოს ახალმა გამგეობამ, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის საავადმყოფოს მოწყობის საქმეში, ახლო მომავალში უნდა შექმნას საავადმყოფოსთან საკუთარი სამრეცხაო.

მუშკორი ჩხმელი.

მექანიკურ სარტყლე-რიო ქარხანაში (არსენალში).

ამა წლის 7 ივნისს, ხსენებულ ქარხანაში, მოხდა მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრო 280 კაცი. დღის წესრიგში, სხვათა შორის, დასმული იყო საკითხი, ხსენებულ ქარხნის „ამხ. სერგო ორჯონიკიძის სახელობის" ქარხანათ წოდების შესახებ. ამაზე მოხსენება გააკეთა ამხ. ბოჭორიშვილმა. მან სხვათა შორის ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ხსენებული ქარხანა, ამ სამი წლის განმავლობაში სხვადასხვა პატრონების ხელში იყო, მუშები მატერიალურათ ცუდ მდგომარეობას განიცდიან, რისთვისაც ისინი მიმართავდენ ხოლმე დახმარებისთვის ამხ. სერგო ორჯონიკიძეს, რომელიც მათ დიდ ყურადღებას აქცევდა და შესაძლებელ დახმარებასაც აძლევდა ამხ. მუშებს. გარდა ამისა, ამხ. ბოჭორიშვილმა ისიც აღნიშნა, რომ ქარხანა ნახევრად სამხედრო და ნახევრად სამოქალაქოა და ამხ. სერგო ორჯონიკიძეც, სწორეთ ორივე ამ დარგებში მომუშავეა. მიაქცია რა ამხ. სერგოს ამ ქარხნისადმი დადებულ ღვაწლზე საერთო კრების ყურადღება, ამხ. ბოჭორიშვილმა მოუწოდა მუშებს, ამ ქარხანას დაარქვან ამხ. სერგო ორჯონიკიძის სახელობის ქარხანა". ეს წინადადება კრებამ ერთხმად მიიღო. და გამოიტანა დადგენილება, რომელშიაც მუშები გამარჯვებას უსურვებენ ამხ. სერგო ორჯონიკიძეს, მისივე სახელობის ქარხანას და კომპარტიას, როგორც მუშათა ინტერესების ნამდვილ დამცველს.

მუშ—კორი მ. ხე—ძე.

მუშათა ცენტრალურ კლუბში.

ავლაბრის ქართული დრამატიული წრე, რომელიც შესდგება, განსაკუთრებით, მუშებისგან, მუშა მსახიობ ამხ. რევაზიშვილის რეჟისორობით, უკვე შეუდგა ნელნელა ქართულ წარმოდგენების დადგმას მუშათა ცენტრალურ კლუბში. ხუთშაბათს, 14 ივნისს აქ დაიდგა 5 მოქმედებიანი დრამა მუშა სანდრო ბაჟიაშვილის: „ყომარბაზის ცხოვრება". ეს პიესა სანდრო ბაჟიაშვილს 1907 წელში აქვს გადმოკეთებული. მას შემდეგ სისტემატიურად იდგმება ის, როგორც თბილისის განაპირა თეატრებში, ისე პროვინციებშიც. პიესაში ჩაქსოვილია მდიდარი ფაბულა და შინაარსი. დახასიათებულია თავგანწირული მოჯახე ქალი და თავაშვებული ბანქოს თამაშით დაავადმყოფებული მისი ქმარი. პიესა ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებლებზე. ამ პიესას დასადგმელად კარგი ძალებია საჭირო. ჩვენმა მუშა-მოსამსახურეებმა ეს რთული პიესა საერთოდ დამაკმაყოფილებლად ჩაატარეს. დიდად სასურველია, რომ ქართულ მუშათა კლუბში ქართულ წარმოდგენებს მტკიცე საძირკველი ჩაეყაროს, მათ დადგმას სისტემატიური ხასიათი მიეცეს და იმ სიმაღლეზე დასდგეს, რა სიმაღლეზედაც სდგას რუსული და სომხური წარმოდგენები. საჭიროა ვრაცხ ვაღიარო, რომ დღეს, ამ გარდამავალ ხანაში, ყველა შეგნებული მუშა, რევოლიუციით არის დაელექტროვებული, მაგრამ სარევოლიუციო პიესებს კი დღეს ყველგან იშვიათად ვხედავთ. ამხ. სანდრო ბაჟიაშვილის პიესა კი ნამდვილი მუშური, რევოლიუციონური პიესაა მუშის კალმით შექმნილი. სასურველია, ამგვარი პიესები ხშირად იდგმებოდეს მუშათა კლუბში.

მუშკორი ჩარხი.

მუშათა ქრონიკა.

— **სახელმწიფო ქაღალდის დამამზადებელ ექსპედიციაში.** ექსპედიციის მუშა-მოსამსახურეებმა დაადგინეს—სოფელ მარტყოფზე: შეფობა, რაც შესრულებულ იქნება ამ მოკლე ხანში.

— **ამავე მუშა მოსამსახურეებმა** დაადგინეს თავის ჯამაგირიდან გადარიცხონ 1 პროცენტი არსენ ჯორჯიაშვილის ძეგლის ასაგებად.

— **ქიმიკოსთა კავშირში.** ქიმიკოსთა კავშირის სამდივნომ დაადგინა; მიეცეს პური უფასოდ დაზღვეულ უმუშევართ და რომელნიც დაზღვეულნი არ არიან მათ მიეცემათ დახმარება ფულის სახით.

— **ელექტრო სადგურში.** 1 საბჭოთა ელექტრონის სადგურის მუშებმა მუშათა დასასვენებელ სახლებისთვის გადადევს თავიანთი ნახევარი დღის ხელფასი.

პროფკავშირებში

კომუნალურ მეურნეობის კავშირში

საქალაქო ყრილობა

16 ივნისს კომუნალურ მეურნეობის კავშირის სამდივნომ მოიწვია კავშირების ყველა ადგილკომების ყრილობა ქალაქის ფარგლებში. დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები; ამხ. ჩოდრიშვილის სახელობის კლუბის გადაცემის შესახებ ტრამვაელებისათვის, ბავშვთა სახლის მოწყობა და მიმდინარე საქმეები.

ამხ. ჩოდრიშვილის კლუბი.

ყრილობამ იმსჯელა რა ამხ. ჩოდრიშვილის სახელობის კლუბის მდგომარეობის შესახებ, აღნიშნა, რომ ამხ. იტრიევის გასვლის შემდეგ კავშირის ცენტრალური გამგეობას აღარ შეუძლიან გაუწიოს წინამძღოლობა დაარსებულ კლუბში და საჭიროა ამ კლუბის გადაცემა ტრამვაის გამგეობის ქვეშ.

ბავშთა სახლების შესახებ.

ყრილობამ ითათბირა აგრეთვე ბავშვთა სახლების მოწყობის შესახებ და დაადგინა: დაამტკიცოს ბავშვთა სახლების არსებული შტატი—მუშა—მოსამსახურეთა შტატი, შეაკეთოს სახლი და ნივთიერი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გადასდოს მუშა—მოსამსახურეთა ნახევარ დღის ხელფასის მოსავალი.

საორგანიზაციო განყოფილების მოქმედება.

საორგანიზაციო განყოფილების მოქმედება მაისის განმავლობაში გამოიხატება შემდეგში: მაისის პირველ ნახევარში კავშირმა გაატარა კამპანია პროფკავშირების მესამე ყრილობაზე დელეგატების არჩევნების შესახებ, თვის მეორე ნახევარში განყოფილებაში მოაწყოს მოხსენებები: ამხ. ორჯონიკიძის (მიმდინარე მომენტზე) ამხ. ელენტის (კომუნალურ მეურნეობის კავშირის მუშაობის შესახებ და ამხ. სერგეევის მოხსენება ც. გ. პლენუმის ანგარიშების შესახებ.

კავშირი პროვინციასთან.

საორგანიზაციო განყოფილებას მაისის თვეში ჰქონდა კავშირი პროვინციასთან და სამაზრო განყოფილებებთან მიწერ—მოწერით. ყოველივე დადგენილება ცენტრისა იგზავნებოდა პროვინციებში სახელმძღვანელოდ ცხოვრებაში გასატარებლად.

მიზანიც უნდა შესწორდეს და მისი მისაღწევი საშუალებაც გამოიცვალოს.

მაშინ აღმოჩნდება, რომ ჩვენი მიზანია ჩვენს საზოგადოებაში, ე. ი. მუშა მოსამსახურეებში არა მარტო კულტურულ - ეროვნული სიამაყე, თვითშეგნება გამოვიწვიოთ, არამედ კიდევ უფრო მეტათ და უპირველესათ მასში კულტურულ-კლასობრივი სიამაყე თვითშეგნება აღვძრათ; ისე რომ ქართულ თეატრიდან გამოსული ქართველი მუშა-მოსამსახურე თავს მარტო მაღალ კულტურული ერის შვილათ კი არ გრძნობდეს, არამედ უფრო და მეტათ იმას, რომ იგი მსოფლიო მებრძოლი პროლეტარული ლაშქრის ერთ-ერთი მოწინავე რაზმის წევრთაგანია.

როგორი ქართული თეატრი აგრძნობინებდა ასე ჩვენს მუშა-მოსამსახურეებს: კოტე-გრიგოლის თეატრი, თუ ქართული პროლეტარული თეატრი?

ჩვენ არ უარვყოფთ შოთას ხატვრულ გენიოსობას და არც ვეფხის ტყაოსნის სიდიადე-მნიშვნელობას, თუ გნებავთ ჩვენ გრიგოლის და კოწია გამსახურდიას მისტერიების ეროვნულ მნიშვნელობასაც ვცნობთ, მხოლოდ წინასწარი კომენტარიებითა და ახსნა განმარტებებით; მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს ცნობა საბუთს გვაძლევდეს ჩვენს თანამედროვე და მომავალ ქართულ თეატრს, ქართველ მუშა-მოსამსახურეების თეატრს ვეფხის ტყაოსნის და მისტერიების შინაარსი საფუძვლათ დაუდვათ.

პო, კულტურულ-ეროვნული სიამაყისთვის კი ექნებოდათ მით მნიშვნელობა, მაგრამ ყველა დაგვეთანხმება—მტერიც და მოყვარეც, რომ დღეს ვერც გენიოსური ვეფხის ტყაოსანი და ვერც ნიჭიერათ დაწერილი მისტერიები ქართველ მუშა-მოსამსახურეებს კულტურულ-კლასობრივ სიამაყეს არა თუ ვერ ჩაუნერგავდა, პირიქით ამ სიამაყე—შეგნებას მოჩქმალავდა კიდეც სადღაც „ბეგეშმეგერის" კონსულში და წინ მხოლოდ ეროვნულ ამპარტავნობას ამაყათ წამოაყენებდა.

ამნაირათ ასეთი თეატრი მუშა-მოსამსახურეებში ისეთ სულიერ განწყობილებას შექმნიდა, როგორიც ერთდროს ჩვენს რაინდ თავად-აზნაურობას სჭირდა: ჩვენ ვიცავდით ხამშობლოს წარსულში, ამბობდენ ისინი, და ამიტომ იგი ახლაც მხოლოთ ჩვენ უნდა გვეკუთვნოდესო, თუმცა ახლანდელ შეცვლილ პირობებში ზიანის მეტი სამშობლოსთვის არა მოჰქონდათ რა. ჩვენი მუშა მოსამსახურეებიც თუ მხოლოთ ქართველი ხალხის ძველი კულტურის შემომქმედთა ნაყოფით იამაყებდენ, და თვით კი ვერავითარ ახალ კულტურულ ძალას ვერ წარმოადგენენ, მაშინ, ცხადია, იგინიც ჩვენი თავად-აზნაურობის ისტორიულ ბედს გაიზიარებდენ. მაგრამ ეს ხომ ყოვლად შეუძლებელია; მუშათა-კლასი მოწოდებულია, როგორც ახალი კულტურულ ისტორიული ძალა და მაშასადამე იგი ახალი კულტურის შექმნას უნდა შეუდგეს. და ეს შემოქმედება მიდის იმ წესით და იმ გვარი პროცესით, როგორც წარსულ ისტორიულ ეპოქებში მიდიოდა: ძველი კლასის წიაღში ჩნდება ახალი კლასი, რომელიც თან ახალ კულტურას ატარებს და რამდენათაც იგი ეკონომიურსა და პოლიტიკურს ნიადაგზე მაგრდება, იზრდება, იმდენათ მისი კულტურაც ვითარდება; ბოლოს მისი საზოგადოებაში გაბატონების დღიდან, მისი კულტურის საზოგადებაც იწყება, ე. ი. მისი კულტურა მთელი საზოგადოებისათვის მისაღები ხდება.

ამიტომ, ვინც დღეს ჩვენში პროლეტარიატის დიქტატურას და მუშური სახელმწიფოს არსებობას რეალურ, შესრულებულ ფაქტით ცნობს, იგი მუშათა კლასის კულტურასაც უნდა ცნობდეს, იგი პროლეტარული კულტურის მაღიარებელიც უნდა იყოს; წინაამდეგ შემთხვევაში იგი მუშათა კლასის მტერი და მოღალატეა ნებსით თუ უნებლიეთ და მხოლოთ ბურჟუაზიული კულტურის მატარებელია.

ამიტომაც მას მუშათა კლასის სახელმწიფო, ცხადია, მფარველობას ვერ გაუწევს და ეცდება ეს ჩვენი, მუშური კულტურის ხარახურა სადმე დავიწყების არქივში მიჩქმალოს.

რაჟდენ კალაძე.

ქრონიკა

განათლების კომისარიატში

— **დახმარება ბავშვების დაწესებულებებს.** ორი თვის განმავლობაში საბავშვო დაწესებულებებს მიეცათ 27 ფ. საპონი, 160 ფ. შაქარი, 160 ფ. ბრინჯი, 485 ფ ხორცი, 2000 ფ. პური, 500 ფ. კარტოფილი. აგრეთვე ამავე მიზნით გაიცა შიმშილობასთან მებრძოლ კომიტეტის მიერ შემოწირული კონსერვები რძისა და ხორცის.

— **პასტერის სახელობის სადგური.** განათლების კომისარიატმა სახ. უნივერსიტეტთან არსებულ პასტერის სახელობის სადგურს გადასცა 50 მილიონი მან. ზღვის გოჭების შესაძენად.

ქალაქის აღმასკომში

— **ტრამვაის ვაგონების გაკეთება.** აღმასკომის კომუნალურ განყოფილებამ წინადადება მისცა ტრამვაის დირექციას შეადგინოს ხარჯთაღრიცხვა ტრამვაის ახალი ვაგონების გასაკეთებლად, რომლითაც გადმოიზიდება ხორცეულობა ქალ. სასაკლაოდან.

— **ქუჩების გაწმენდა.** წინადადება მიეცა საამშენებლო ტეხნიკურ განყოფილებას მიიღოს სასწრაფო ზომები ქუჩების და მოედნების უსუფთაობისაგან გასაწმენდათ. სახლის პატრონებს ევალებათ დაიცვან სისუფთავე თავიანთ ეზოებში, წინაამდეგ შემთხვევაში დამნაშავენი იქნებიან პასუხისგებაში მიცემულნი.

— **ზემო-ავჭალის ჰიდრო ელექტრონის სადგური.** აღმასკომის პლენუმმა დადგინა ზემო-ავჭალის ჰიდროელექტრონის სადგურისათვის საჭირო მანქანები შეიძინოს საბჭოთა რუსეთში, სადაც მოიპოვება საჭირო მანქანები და მასალა.

— **ახალი ნიხრი აბანოებზე.** აბანოებზე დაწესდა შემდეგი ახალი ნიხრი. გოგირდის აბანოები: №№ 3, 4, 5, 6, 7, 8, 9 და 10—სადღეღამისოდ 700—600—500 ათასი მან. ხალხო ორთქლის აბანო ნომერი საათში—650 ათასი, საერთო—200 ათასი.

— **გადასახადი წყალზე.** 1-ლ ივნისიდან გადიდებული იქნა წყალზე გადასახადი 1,800,000 მანეთამდე.

სასურსათო კომისარიატში.

— **შტატების შემცირება.** საქ. სასურსათო კომისარიატში მოხდა შტატების შემცირება. შტატის გარეშე დარჩა 40 კაცი.

— **ხორცის წარმოება.** სახ. კომისარიატის კოლეგიამ საჭიროდ სცნო ხორცის საწარმოო ორგანიზაციის არსებობა და დადგინა შემუშავებული იქნეს სააქციონერო საზოგადოების პროექტი კერძო კაპიტალისტების და სამეურნეო ორგანოების მონაწილეობით.

— **სასურსათო ფონდი.** სასურსათო ფონდიდან აღარ მიეცემათ არავის სურსათ-სანოვაგე ამიერ-კავკასიის სასურსათო კომისარიატების განკარგულების გარეშე.

სხვა და სხვა.

— **მალარიის მცოდნე ექიმების საყურადღებოთ.** საქართველოს წითელი ჯვრის ცენტრალური კომიტეტი იწვევს სამალარიო ექსპედიციაში გამგე-ექიმს, რომელიც უნდა იცნობდეს მალარიას ეპიდემიოლოგიურად და კლინიკურად. ექსპედიცია გაემგზავრება სამურზაყანოში (გალის რაიონში) და კახეთში (ალაზნის გაღმა) გამგე-ექიმისათვის სავალდებულოა ქართული ენის ცოდნა.

შრომის ბირჟაში.

19 ივანობისთვეს, შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდნ 607 უმუშევარი, ჩაეწერა ამავე დღეს—136, გაიგზავნა სამუშაოზე 46, აქედან ქალი 16, კაცი—30.

— 20 ივანობისთვეს გამოცხადდა 512 უმუშევარი, ჩაეწერა იმავე დღეს 118, გაიგზავნა სამუშაოზე—57.

ხელოვნება

სურათების ორი გამოფენა.

სურათების ამგვარი გამოფენა საკმაოდ იშვიათი მოვლენაა თბილისში. უკანასკნელ დროს მოწყობილი იყო ორი გამოფენა.

დავიწყოთ ახალგაზრდა მხატვართა ჯგუფის მიერ მოწყობილ გამოფენიდან. გამოფენა მოწყობილი იყო სომეხ ხელოვანთა სასახლეში. გამოფენა დიდი არ არის, უჭირავს სულ ერთი ოთახი. საზოგადოების სამსჯავროზე გამოტანილ სურათებიდან მიღებული შთაბეჭდილება ერთნაირი არ არის,—ასეთი აზრი, რა თქმა უნდა, სუბიექტიურია. მე გამოვდივარ იმ აფორიზმიდან, რომ „კარგი ის კი არ არის, რაც კარგია, არამედ ის რაც მოგწონს".

აი მხატვარ ქალის ლებედევას სურათები.—ის დახელოვნებულია პორტრეტების წერაში და სიმართლე უნდა ითქვას, რომ ყველა პორტრეტები კარგია. აი მოქ. ვრეუმიევსკაიას პორტრეტი: ახალგაზრდა ქალის სახე ისე გიცქერით თითქოს ის ცოცხალი იყოს.

პორტრეტი გაკეთებულია ნახევარ ტონებში, მაგრამ ყველაფერი უბრალო და ბუნებრივია; მიუხედავად ამისა, სჩანს ხელოვნება და არა ფოტოგრაფია. ზევით არის რობაქიძის პორტრეტი; პორტრეტი მშვენიერია: მწყრალი გიცქერით თქვენ და გგონიათ, რომ აი ეს-ეს არის ის დაგელაპარაკებათ. რამოდენიმედ უსიცოცხლოა გოგონა ავერბახის პორტრეტი. აქვეა ფანტაზია შეხერაზადას ზღაპრებიდან. ლამაზი სურათია ზღაპრულ სტილით.

გოცირიძეს ყველაფერი სტილიზაციური აქვს და ამიტომ მისი სურათები ვერ ახდენენ ცხოვრებას სინამდვილის შთაბეჭდილებას. მაგალითად, „იქვი", „ქეიფი ორთაჭალაში" (რატომ მაინცადამაინც ორთაჭალაში სად ნახა მხატვარმა ორთაჭალაში ასეთი ფუტურისტული ფიგურები ეს, ალბად, მხოლოდ მან ერთმა იცის).

იგივეა „პრესის სამართალი", სადაც დახატულია ოთხი ტიტველი ფიგურა, რომელნიც თავისი გარეგნობით შორს არიან ძველი საბერძნეთის სილამაზისა და პლასტიკის ნიმუშებიდან. კარგია მამალაძის ზოგიერთი სურათები; მაგალითად „ძველი თბილისი"—სურათი განწყობილებას ქმნის და სალიბავების ფერები კარგათ არის შეზავებული. მშვენიერია „მეპურე ქალები"—სამი ღვარძლიანი ქალის ფიგურა. ეს ცოცხალი და ბუნებრივია. სუსტია „კამიჩი", ტრაფარეტობისა და ცხოვრების სინამდვილის უქონლობის გამო, მაგრამ მშვენიერია მისივე „გურიის ეპიზოდი" და „დიდი".

პაზინამ გამოჰფინა სამი სურათი, რომელთაგან მოსაწონია „მწუხარება" —აქ ბევრი განწყობილებაა, გატეხილ მოხრილ ფიგურაში თქვენ გრძნობთ ღრმა მწუხარებას.

ტორხონიანის ყველა სურათები მოსაწონია, მაგრამ ყველაზე უკეთესი აკვარელი და ფანქარით ნახატი სურათებიდან სჩანს ნიჭი.

მხატვრის მიმართულება რეალურია, მას არ ახასიათებს სტილიზაცია და ტენდენციოზობა მშვენიერია აკვარელი „დასვენება", კარგებია ტორხონიანის პორტრეტებიც (მესხიშვილი და ანდრეოლეტტი) —სახეები ცოცხლებივით გამოიყურებიან. კარგია აკვარელი „ძველი თელავი და „ანის ნანგრევები". მშვენიერია აკვარელი „ზამთარი თბილისში"—სურათში ნათლად არის ასახული თბილისის ზამთარის შემთხვევითობა და თოვლის, გამძლეობა მოკლებული, ხასიათი. კარგია ჰერის გამოჩვრილება. ყურადღებას იქცევს „გადასახლება" ფიგურებში თქვენ გრძნობთ ბედის წერისადმი დამორჩილებას და დალილობას.

ტორხონიანის ქანდაკებებიდან მოსაწონია „სიცივე"—მოხვეულ ფიგურაში თქვენ გრძნობთ სიცივეს. ეს ცოცხალი და ბუნებრივია. ვერ არის მოსაწონი შავერდიანის სურათები—აქ ყველაფერი ფუტურისტულ პრიმიტიულ ტონებშია. შესაძლებელია მომავალმა თაობამ შეიძლოს ფიგურებისა და სახეების ფუტურისტული გამოსახვა;—ეხლა კი, როდესაც მხატვრულ ხელოვნებაში რეალური მიმართულება სჭარბობს—შავერდიანის ყველ ეს ძალდატანებული ფიგურები არა ბუნებრივად სჩანან და გაკვირვებას იწვევენ.

მშვენიერია წინა ბებუთოვას პორტრეტები.

მეორე გამოფენის შესახებ ცალკე წერილში.

ძველი.

— **ე. ნინოშვილის ნაწერები რუსულად და თათრულად.** ა.-კ. სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა: ახლო ხანში გამოიცეს ე ნინოშვილის ნაწერები რუსულ და თათრულ ენებზე.

— **პროლეტარულ პოეტის აკოფ აკოფიანის იუბილე.** ა.-კ. სახ. კომ. საბჭოსთან მოეწყო ცენტრალური კომისია პროლეტარულ პოეტის აკოფ აკოფიანის 30 წლის იუბილეს მოსაწყობად და ჩასატარებლად.

პროვინცია.

— **ხონში.** შესდგა ქართული დრამატიული დასი საზაფხულო სეზონისათვის. რეჟისორათ და უმთავრეს როლების ამსრულებლად მიწვეულია მსახიობი მ. გელოვანი.

— **ახალ-სენაკი.** ახალ-სენაკში გაიმართა სცენის მუშაკის იორდანიშვილის იუბილე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 58.

შეღავათების შესახებ.

ა. კ. შრომის სახალხო კომისარიატისა.

25 მაისი, 1923 წ.

წარმოებათა და პროფესიათა სია, რომელთაც შრომის კანონთა კოდექსის 115 მუხ. ძალით ეძლევათ, გარდა კოდექსის 114 მუხლში გათვალისწინებულ ორ-კვირეულ შეღავათისა, დამატებითი შეღავათი ორი კვირით, წელიწადში ერთხელ.

1. სამთო-მადნო მუშაკთა კავშირი.

1. ყველა სამთო-მადნო მუშები, რომელნიც მუშაობენ მიწის ქვეშ, სხვა და სხვა ფენთ-არსთა შოვნა-მოღებაზე, როგორიც არის: ნახშირი, ქვა-მარილი, რკინის, ტყვიის, სპილენძის, გოგირდის, შავი-ქვის მადნები და სხვ. 2) ჩამსობნი კარიერებში. 3) ნავთის სარეწაოს მუშები.—ბურღვის მუშები, ბურღვის მეკარენი (რომელნიც უშუალოდ მუშაობენ ბურღვის მანქანასთან) მეტუმბოენი (რომელნიც ემსახურებიან ტუმბოს) ამომკასრნი, მეცელსავენი, მეკავშირეულნი, მექურუმენი, ბაგირთა შემოთველნი, დამდისველნი.

2. ლითონზე მომუშავეთა კავშირი.

1) ღუმელთა ამქარი. 2) თუჯის ჩამომსხმელი ამქარი. 3) სპილენძის ჩამომსხმელი ამქარი, 4) სპილენძის სადნობ ქარხნებში: მუშები მაღაროების პეჩზე და ალოეტზე, ღუმელებთან მომუშავენი, სადაც ხდება მადნის და შტეინების გამოწვა და გადადნობა; მუშები საწვავი ხროვებთან და ტაფებთან, შტეინების დამტვრევა, შავი სპილენძის ბლეიფოლნებში დახლისებაზე და მის ჩამოსხმევაზე მომუშავენი. 5) ყლინების ამქარი. 6) მჭედლითა ამქარი, 7) მექვაბეთა ამქარი, ქიმბუქნი, ყუროს დამკერებელნი, მომქლონენი, რომელნიც ცხელს სამუშაოზე მუშაობენ. 8) მჭედელთა ამქარი. 9) ტროთობა-გავარვარების ამქარი. 10) ცხელ ტვიფრავზე მომუშავენი, 11) მენიკელეთა და მესვავედეთა ამქარი, 12) ამოთუთქვის განყოფილებათა მუშები, 13) ზუმფარ-გამკრიალებელი ამქარი, 14) გაზურებული რკინის და ფოლადის მბეჩავენი, 15) დამკავშირებელნი და მკალავენი, 16) თუთიაზე მომუშავენი, 17) გალვანოპლასტები, 18) ჩვეულებრივ და ავტოგენურ შედუღებაზე მომუშავენი (ვინც მუდმივად არის ამ სამუშაოზე), 19) მეთუნუქენი, მესპილენძენი, ოქროთ მჭედავნი, 20) საკამურის და საასიროთ მილების გამწმენდი მუშები (თუ მუდამ სწარმოებს მუშაობა), 21) ვერცხლის წყლის და ტყვიის დამმუშავებასა და მოხათრებასთან დაკავშირებულ სამუშაოზე მომუშავენი, 22) აიროგენერატორებზე და აირის აპარატებზე მომუშავენი, 23) აკუმულიატორულ წარმოების მუშები.

3. ქიმიკოსთა კავშირი.

1. ძირითადი ქიმიური მრეწველობა. მარილის პანგის, გოგირდის პანგის, სპილენძის, შაბი-ამანის და ძმარ-პანგის წარმოებებზე უშუალოდ მომუშავენი.

2. ასაფეთქებელ ნივთიერებათა წარმოება. 1) გვარჯილების, ტრიტოლ-მანკოლის, ბანკარის, გლიცერინის, ღიმეტილარინის და სხვ. სახელოსნოებში მომუშავენი, 2) გვარჯნაწარმოების გარეცხვაზე, დამნვაზე, გაშრობაზე და ცობაზე მომუშავენი.

3. შუშის წარმოება. 1) გუტი, ოსტატნი და მათი თანაშემწენი, გამლამაზებელნი, მეკილეები, მომწვავენი, დამკერნი, გადამწყობნი, ღუმელიდან გამომღებნი და გადამტანნი, ნამსხვრევის გამცვლელნი, 2) მასალური განყოფილება: მინის გამდნობნი და მათი თანაშემწენი, აირომეტრის მზომელნი და დამსხვრევნი, 3) საპანგო განყოფილება: მეჭანგენი, დამკუთხავნი, „დესტროვშიკები", გამკრიალებელნი, მოღვარენი მანქანასთან, შუშის ძმოვლნი.

4. ასანთის წარმოება. 1) „მაკალები", 2) სამაკალო განყოფილებაში მუდმივად მომუშავე ზეიძლნი.

5. ნავთის გადამდენი წარმოება. 1) გადადენის განყოფილების მუშები, 2) გამომხდელნი, 3) გაწმენდის განყოფილების მუშები, 4) პანგის გდების გამომზიდავნი.

6. ქიმიკო-ფარმაცევტიული წარმოება. 1) ლიზოლის, ნავთ-ლიზოლის, კრეოლინის და სხვა კრეზოლიან შენაერთათა წარმოება.

4. მქსოველ და მრთავთა კავშირი.

ბამბის დამრთავი ქარხნები. 1) შეკვრის დამრღვევ მანქანებზე მომუშავენი, 2) საჩეჩავ განყოფილების მანქანების და ქუდთა მლესავნი, 3) მედოლენი, მჩეჩავნი საჩეჩავ ქარხნებზე, 4) მტვრიან „ვოლჩოკზე" მომუშავენი. სამღებრო, სახალისო და ჩითის ქარხნები. 1) სამღებრო განყოფილების მუშები, 2) საორთქლე და სადუღი განყოფილების მუშები, 3) საღებავი სახარშავის მუშები, 4) საჭაქო განყოფილების მუშები, 5) მეალზადით ამოწვის განყოფილების მუშები.

ბამბის წარმოება. 1) ჭუჭყიან ბამბის შეკრევისათვის ნაწევთა დამხარისხავნი, 2) ჭუჭყიან და დამტვერილ ბრიალებზე მომუშავენი, 3) მლესავნი და მედოლენი საჩეჩავ ქარხნებზე, 4) კონცენდრალურ მანქანების მუშები.

თელვის წარმოება. 1) ყველა მუშები, რომლებიც უშუალოდ ეწევიან მუშაობას ამ წარმოებაში.

5. მეტყავეთა კავშირი.

ტყავის წარმოება. 1) დასასვენებელ განყოფილების მუშები, 2) სანაცრო განყოფილების მუშები, 3) კანის დამსხვრევებზე მომუშავენი, 4) ხელით მრანდავი მუშები.

ჯაგრის და ჯაგრას წარმოება. 1) მეჯაგრენი, 2) ჯაგრას მკეთებელნი.

6. სურსათ-სანოვაგეზე მომუშავეთა კავშირი.

დაფქვის წარმოება. 1) მორიგენი ელევატორის წისქვილების მანქანებთან, 2) გამომცემნი, 3. დამგვევნი, 4) დამტვირთავნი, 5) ჩამყრელნი.

პურის ცხობა. 1) ხელით მზელავნი, მაცივარნი, მაცივარ კამერებში მუდმივად მომუშავენი.

ლუდის სახარშავი წარმოება. 1) ის მუშები, რომელნიც მუშაობენ სარდაფებში—სადუღარ განყოფილებებში.

თამბაქოს წარმოება. 1) ყვითელი თამბაქოს და პაპიროსების წარმოება დამხარისხებელ-დამფხვნელნი, გამომშრობის, დაფერთხვის, დატენის, სამქანქანო პაპიროსების დატენის განყოფილების მუშები, წუნიდან თამბაქოს გამომრჩენი.

7. პოლიგრაფიულ წარმოების მუშათა კავშირი.

1. ასოების ჩამოსასხმი განყოფილების მუშები, 2) ასოთ-ამწყობი განყოფილების მუშები, 3) ბეჭდვის განყოფილების მუშები, 4) სტერეოტიპული განყოფილების მუშები, 5) გავლენ-პლასტიური განყოფილების მუშები, 6) ფოტოცინკოგრაფიული განყოფილების მუშები, 7) მეცო-ტინტოს მუშები, 8) ლიტოგრაფიული განყოფილების მუშები, 9) ნაჭების საბეჭდავი განყოფილების მუშები, 10) გაბრინჯაოების განყოფილების მუშები, 11) წიგნის საკაზმავის განყოფილების ოქროს მევარაყენი-მუშები.

8. სამშენებლო საქმის მუშაკთა კავშირი.

ცემენტის წარმოება. 1) გამომწვავნი, რომელნიც მუშაობენ მბრუნავ გამოსაწვავ ღუმელებთან, 2) მეწისქვილენი და მათი თანაშემწენი ცემენტის წისქვილებზე, 3) დამსუფთავებელნი და წამცხობნი ცემენტის წისქვილებზე, 4) ბოჭკების გავსებაზე და დაცობაზე მომუშავენი, 5) ტომრების დამხარისხებელნი და დამკერებელი მუშები, 6) ქვა-კირის გამომტვირთავნი.

გუდრონის წარმოება. 1) ასფალტისი ქვა-კირის დამტყვევნი, 20 გუდრონის ხარშვაზე მომუშავენი.

ქვა-კირის ქარხნები. 1) მაღაროების ღუმელების დამტვირთავი მუშები, 2) მაღაროების და ჰოფმანის ღუმელების დამცლელი მუშები, 3) კვრაზე მომუშავენი.

9. კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კავშირი.

კანალიზაციის განყოფილება. 1) მთავარის ტუმბოს და გადამღვრელი სადგურების მუშები, მოსარწყავ მინდვრებზე მომუშავენი, უბნებზე და სატუმბო სადგურებზე მომუშავენი იმ პირობით, თუ ეხებიან კანალიზაციის სითხეს და გდებებს.

აირის ქარხნები. 1. სანთები და ნიშადურის სპირტის და წყლის აირის გამომუშავებაზე და დაზიანებაზე ყველა უშუალოდ მომუშავენი.

სამრეცხველონი. 1) დეზინფექტორები, 2) ჭუჭყიან საცვლის მიმღებნი და დამხარისხებელნი, 3) ხელით და მექანიკურად მრეცხავი ქალები.

10. სახალხო კავშირის მუშები.

1) ზონარის, ნიკელირობის, დახეხვის, ლაქის წასმის და აკუმილიატორულ აპარატების სახელოსნოების მუშები, 2) მუშები აკუმილიატორულ სადგურებზე და ბატარეებზე, 3) რადიო-ტელეგრაფისტები, რომელნიც მუშაობენ აპარატებზე, აგრეგატულ და სამქანქანო განყოფილებებში და მცლელებთან მომუშავენი.

11. ადგილობრივი ტრანსპორტის მუშათა კავშირი.

1) ვულკანიზატორები. 2) მონტაჟის მუშები გარაჟებში, სადაც სარემონტო ნაწილი არ არის გამოყოფილი საექსპლოატაციო ნაწილისაგან.

12. რკინის გზის და წყლის ტრანსპორტის მუშათა კავშირი. 1. ორთქლის ქვაბთა გამრეცხნი (თუ მუდამ მუშაობენ), 2. მესალტენი და მერუსორენი, 3. მკვეთავნი.

13. სამკურნალო-სასანიტარო საქმის მუშაკთა კავშირი. 1. მკურნალთა, მომვლელთა და დამხმარე პერსონალი, სახელდობრ: ექიმები, ფერშლები, მოწყალების დები და ძმები, სანიტარები და მომვლელი ქალები, რომელნიც მუშაობენ სახადის, ხოლერის, შავი-ჭირის, საპის, დეზინტერიის და ნატურალური ყვავილის ეპიდემიებზე, როგორც სპეციალურ სტაციონარებში, ბარაკებში, გამტარებელ პუნქტებზე, ისე აგრეთვე საერთო სამკურნალო დაწესებულებების სათანადო განყოფილებებში. 2. სანიტრები, გამდელები, ზედამხედველი ქალები და მამაკაცები ფსიხიატრიულ საავადმყოფოებში; 3. ბეითალი ექიმები, ფერშლები და მსახურნი, რომელნიც მუშაობენ ეპიზოოტიურ რაზმებში და საიზოლიაციო პუნქტებში ეპიზოოტიასთან საბრძოლველად: 4. დეზინფექტორები და დეზინსექტორები; 5. მესაწყობენი (რომელთაც საქმე აქვთ ჭუჭყიან თეთრეულთან), მეფუთენი, ჭუჭყიანი თეთრეულის გამრჩევნი, საეპიდემო შერეულ და სტაციონალურ საავადმყოფოთა მრეცხავი ქალები; 6. პროზექტორ-ანატომები, ანატომიური თეატრების და სამკურნალო დაწესებულებებთან არსებულ სამიცვალებულოთა მსახურნი; 7. სატილიზაციო ქარხნების ბეითლები; 8. ტუბერკულიოზის დაწესებულებებში: ფერშლები მამაკაცები და ქალები, მოწყალების დები და ძმები, სანიტარები, მომვლელი ქალები და ექიმები, ტუბერკულიოზის დაწესებულებათა ექიმები (ეს უკანასკნელნი მხოლოდ იმ პირობით, თუ მუშაობენ მოხსენებულ დაწესებულებებში საერთოდ არა ნაკლებ 6 საათის დღეში მორიგეობის საათების ჩათვლით); 9. მკურნავი, მომვლელი და დამხმარე პერსონალი ლეპროზორიებში; 10. რენტგენოლოგები, რენტგენო-ტეხნიკები და მოწყალების დები რენტგენის კაბინეტებში (თუ მთელი სამუშაო დღის განმავლობაში მუშაობენ აქ).

14. საბჭოთა მუშაკების კავშირი.

1. საწერ მანქანაზე მომუშავენი; 2. გადმომღვრელნი, ჩამცემელნი და ამწონნი, რომელნიც მუდმივად მუშაობენ ნავთის პროდუქტების (ნავთობი, ბენზინი, ნავთი) საწყობებზე და საბითუმო განმანაწილებლებზე.

ა.-კ. შრომის სახალხო კომისრის მოადგილე—ბ ა ხ უ ტ ო ვ ი.

შეთანხმებულია სრ. რ. პროფ. კავშ. ცენ. საბჭოს ა.-კ. ბიუროს თავმჯდომარე გ ი ნ ს ბ უ რ გ ი.

ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილების გამგე გ ო დ ა ბ რ ე ლ ი ძ ე.

წესები

ადგილობრივის გადასახადის დადების პლაკატებზე, აფიშებზე და სინათლის რეკლამებზე.

ა. | კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტისა და ა. | კ. სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტი 1923 წლის აპრილის 2-ს თარიღით. განყოფილება—2, თავი—3, მუხლი—6, პუნქტი 16 (ქალაქებში).

1. გადასახადით უნდა დაიბეგროს:

ა) ყველა პლაკატი და აფიშა, როგორც გაკრული, ისე გამოფენილი ქუჩებსა და მოედნებზე, აგრეთვე ის პლაკატები და აფიშები, რომლებსაც ხელით, ან ტვირთ-ზიდვის საშუალებით ატარებენ და

ბ) სინათლის რეკლამები, მე-2 მუხლში ნაჩვენების გამოკლებით.

2. გადასახადისაგან თავისუფალია:

ა) ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებისა და შიმშილობის შედეგებთან მებრძოლ კომისიის განკარგულებანი და დადგენილებანი.

ბ) საერთო სარგებლობისათვის გამოკრული დროებამოშვებითი გამოცემანი,

გ) აფიშები წარმოდგენებისა, ლექციებისა, კონცერტებისა და სხვათა შესახებ რომლის შემოსავალიც სრულად დანიშნულია სტიქიურ უბედურებებით დაზარალებულთა სასარგებლოდ;

დ) პლაკატები [illegible] ხასიათისა,

ე) აფიშები უფასო ლექციებისა და კრებების შესახებ.

3. ადგილობრივ პირობათა მიხედვით ადგილობრივს აღმასკომს შეუძლიან დააწესოს, წინა მუხლში ნაჩვენების გარდა, სხვა გამონაკლისიც გადასახადისაგან.

4. გადასახადი პლაკატებსა და აფიშებზე გადახდევინებულ უნდა იქნეს არა უმეტეს 5.000 მან. (ა. | კ. ფულის ნიშნებით) თვითეულ სრულ, ან არა სრულ ათას ცალ პლაკატის, ან აფიშის თვითეულ ოთხკუთხ გოჯზე (ვერშოკზე).

5. გადასახადი სინათლის რეკლამებზე გადახდევინებულ უნდა იქნეს არა უმეტეს 10.000 მან. (ა. | კ. ფულის ნიშნებით) თვითეულ სრულ ერთის თვისა, ან არა სრულ ერთის თვის ვადის რეკლამის თვითეულ ოთხ-კუთხ გოჯზე.

6. ადგილობრივს აღმასკომს შეუძლიან, რომ აფიშები, პლაკატები და სინათლის რეკლამები დაჰყოს, მათი დანიშნულებისა და სხვა პირობათა მიხედვით, კატეგორიებად და თვითეულ მათგანისათვის დააწესოს გადასახადის ცალკე ჯამი, ისე კი, რომ მისი რაოდენობა არ აღემატებოდეს ამა წესების მე-4 და 5 მუხლებით დაწესებულს და განსაზღვრულ ნორმას.

7. გადასახადის გადახდა ევალება დაწესებულებებს, საზოგადოებებს და პირთ, რომელნიც პლაკატებს და აფიშებს გამოუშვებენ და იმ პირთ, რომელნიც სინათლის რეკლამებს გამგებლობენ.

8. გადასახადი შეტანილ უნდა იქმნას აღმასკომის კასაში პლაკატებისა და აფიშების გამოკვრამდე და სინათლის რეკლამების გაშვებამდე

9. გადასახადის წარდგენის დროს წარდგენილ უნდა იქმნას ორი ცალი პლაკატი და აფიშა, ან სინათლის რეკლამის ტექსტი, აქვე ნაჩვენები უნდა იყოს აფიშების რაოდენობა და რეკლამების ზომა.

10. გადასახადის შეტანის დროს გადამხდელთ მიეცემათ ქვითარი, რომელშიაც აღნიშნული იქნება: ა) გადასახადის შეტანის თვე და რიცხვი, ბ) აფიშის, პლაკატის, ან რეკლამის სახელწოდება, გ) მათი ზომა გოჯებად, დ) აფიშებისა და პლაკატების რაოდენობა, რომლის გადასახადიც შეტანილია, სინათლის რეკლამით სარგებლობის ვადა, ე) შეტანილ გადასახადის რაოდენობა.

11. აფიშისა ან პლაკატის ორივე ცალზე (დედანზე და რეკლამის ტექსტზე) უნდა დაისვას შტემპელი ან ნიშანი, რომლითაც აღინიშნება: ა) გადასახადის შეტანის ქვითარის ნომერი, ბ) გადასახადის შეტანის თვე და რიცხვი. გ) გასაკრელ აფიშებისა და პლაკატების რიცხვი, რომლის გადასახადიც გასტუმრებულია, ან რეკლამის მოქმედების ვადა და დ) ზომა გოჯებად,

12. აფიშის და პლაკატის, ან რეკლამის ტექსტის ერთი ცალი შტემპელით და ნიშნით გადამხდელს მიეცემა გადასახადის შეტანის ქვითართან ერთად მეორე კი რჩება გასამართლებელ საბუთად.

13. გადასახადის გაუსტუმრებლად აფიშებისა და პლაკატების გაკრვისათვის და სინათლის რეკლამების გაშვებისათვის, აგრეთვე არა სწორე და არა სრულ ცნობების მოწოდებისათვის, გადასახადის რაოდენობის შემცირების მიზნით, დამნაშავენი მიცემულნი იქნებიან სისხლის სამართლის პასუხის გებაში.

ა. | კ. ფინანსთა სახალხო კომისარი: თ უ მ ა ნ ო ვ ი.

ა. | კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი: ე რ ქ ო მ ა ი შ ვ ი ლ ი.

1923 წ. მაისის 26.

ქ. თბილისი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული.

— ამხ. ამხ. სოფიო ქორიძეს, გრიგოლ ნაზარიანს და ალექსანდრე სიხვეს წინადადება ეძლევათ ორი დღის განმავლობაში გამოცხადდენ საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის აღმრიცხავ ქვე განყოფილებაში.

ტფილისის კომიტეტის აღმრიცხავ-სტატისტიკურ განყოფილების გამგე: ვ ე ლ ფ ო ვ ი ჩ ი.

— **საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის ორგანიზაციის** მე-3 საუბნო კომიტეტი იუწყება, რომ შაბათს, 23 ივნისს, საღამოს 6 საათზე, ავლაბრის მუშათა კლუბის ბინაზე (კონსტანტინოვის ქ. № 11) დანიშნულია საზეიმო გამოშვება საუბნო პარტიული სკოლისა სომხურ ენაზე.

გამოშვებას დაესწრება მესამე უბნის წევრნი და კანდიდატები, კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის წევრნი, სამხედრო ორგანიზაციათა წარმომადგენელნი და უპარტიო მუშები.

ვიწვევთ აგრეთვე პარტიულ, პროფესიონალურ და საბჭოთა ორგანიზაციების წევრებს.

პასუხისმგებელი მდივანი ვ ა რ თ ა პ ე ტ ი ა ნ ი.

განცხადებები

საქართველოს წითელი ჯვრის ცენტრალური კომიტეტი

იწვევს სამალარიო ექსპედიციაში გამგე-ექიმს,

რომელიც უნდა იცნობდეს მალარიას ეპიდემიოლოგიურად და კლინიკურად. ექსპედიცია გაემგზავრება სამურზაყანოში (გალის რაიონში) და კახეთში (ალაზნის გაღმა) გამგე ექიმისათვის სავალდებულოა ქართული ენის ცოდნა.

მსურველებმა უნდა მიმართონ წითელ ჯვარს curriculum vitae-ს წარდგენით (თაიროვის შესახვევი № 5) 10—2 საათამდე არა უგვიანეს 28 ივნისისა. კრ. 469—2—1

კბილის ექიმი

ს. ა. ცეიტლინი

ხაშიორის ქ. № 41, მიღება მუდამ დღე 9—2 საათ. დღის და 4—7 ს. საღ. კვირაობით 9—2 ს. დღის

ხელოვნური კბილები. ოქროს მუშაობა 788 25—10

ელექტრონის სინათლის და

სამკურნალო

საწოლებით: [illegible]

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ [illegible] ექიმობას საჭიროებენ.

საავადმყოფო სწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელმძღვანელობით, ტფილისი, ყირიმნოვის ქ. № 20. (501—25—5)

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 265, გაცემული სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ პეტრე შარიას სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. (856—1—1)

დაიკარგა პასპორტი ვასილი ჩესნაკოვის სახელობისა. ჩაითვალოს გაუქმებულად. (858—1—1)

დაიკარგა საწევრო წიგნაკი № 2580 საექიმო-სასანიტარო კავშირისა ემელიან დავითის ძე გერსამიას სახელობისა. ჩაითვალოს გაუქმებულად. (854—1—1)

დაიკარგა მოწმობა, გაცემული შრომის კომისარიატიდან ბინის ქირიდან განთავისუფლების შესახებ გრიგოლ იუზბაშევის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. (855—1—1)

ამ. „ზარია ვოსტოკა"-ს სტამბა, კრუზენშტერნის ქუჩა № 4.